ჯავახეთის სომხები იდენტობაზე მოლაპარაკების პროცესში

ქეთევან ეფაძე, *კოლექტიური მეხსიერებისა და იდენტობის მკვლევარი, თსუ*
ანა ტივაძე, *იდენტობისა და ნაციონალიზმის მკვლევარი, თსუ*

შესავალი

პოსტსაბჭოთა პერიოდის დომინანტურ ქართულ ნაციონალურ ნარატივში ჯავახეთის სომხები მარგინალურ ჯგუფად განიხილებიან. ადგილობრივი მოსახლეობის მოტივები, ძირითადად, სეპარატიზმისა და ეთნიკური მობილიზაციის პრიზმაშია წარმოჩენილი და მიიჩნევა, რომ ეს ჯგუფი უპირისპირდება და ემიჯნება ქართულ ეროვნულ პროექტს, მის ეთნიკურ (1991-1995) თუ სამოქალაქო ფორმას (1995-დღემდე). ამ წარმოდგენების შესახებ, სამეცნიერო ლიტერატურაში, სხვადასხვა ავტორებიც მსჯელობენ.[1]

დომინანტურ ნარატივში არ ჩანს ჯავახეთში არსებულ განწყობათა მრავალფეროვნება. მწირია ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ხდება სამოქალაქო ნაციონალიზმთან ასოცირებული იდეების ცირკულაცია სომეხ მოსახლეობაში, როგორია მათი თანამედროვე საქართველოს ეროვნულ პროექტთან შეხვედრა და კომუნიკაცია. ამ ეტაპზე მოკლებულნი ვართ ფართომასშტაბიანი და რეპრეზენტაციული კვლევის ჩატარების შესაძლებლობას, რომელიც სიღრმისეული ინტერვიუების მეთოდით გამოავლენდა სამოქალაქო იდენტობის ფორმირებას მთლიანად სომხურ ჯგუფში. ამიტომ, დავაწესეთ ლიმიტი და საკვლევ ჯგუფად ავირჩიეთ 18-30 წლის ასაკის ახალგაზრდები, რომელთაც საშუალო განათლება პოსტრევოლუციურ პერიოდში მიიღეს და ქართულ უნივერსიტეტებში განაგრძეს სწავლა. ჩვენი არჩევანი განაპირობა ორმა ფაქტორმა: პოსტრევოლუციურ საქართველოში მკაფიო გახდა პოლიტიკური ელიტის აქცენტი სამოქალაქო ნაციონალიზმზე და შეიქმნა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც მოქალაქეობის ხელშემწყობ ინსტრუმენტად შეიძლება განვიხილოთ ქართულ კონტექსტში. გარდა ამისა, ახალგაზრდებს, რომელთაც დაიწყეს ქართულენოვან გარემოსთან ურთიერთობა და მასში სოციალიზება, მეტი შესაძლებლობა გაუჩნდათ სამოქალაქო პროექტთან ინტერაქციისთვისაც. ამ კრიტერიუმების საფუძველზე დავუკავშირდით თბილისსა და ახალციხეში ქართული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს და მოქმედ სტუდენტებს და შემთხვევითი შერჩევის პრინციპით 8 მათგანთან ჩავწერეთ სტრუქტურირებული ინტერვიუ.

როგორ ქმნიან და ინარჩუნებენ სამოქალაქო იდენტობას ჯავახეთის სომეხი ახალგაზრდები თანამედროვე ქართულ ეროვნულ პროექტთან ურთიერთობის კონტექსტში? როგორია მათი პასუხი ცენტრიდან წამოსული იდენტობის პოლიტიკაზე? - ამ კითხვების

---

[1]Berglund, Christofer. Dragojevic, Marko & Timothy Blauvelt. Sticking Together? Georgia's "Beached" Armenians Between Mobilization and Acculturation. *Nationalism and Ethnic Politics 27*, no.2 (2021): 114-115. Metreveli, Tornike. An undisclosed story of roses: church, state, and nation in contemporary Georgia. *Nationalities Papers 44*, no. 5 (2016): 707. Kopeček, Vincenc. Trapped in informality? A study of informal politics in Georgia's Javakheti. *Caucasus Survey 7*, no.1 (2019): 67.

დასმით ვცდილობთ შევამოწმოთ თანხვედრა პოლიტიკური ელიტების მიერ შეთავაზებულ იდენტობის კონცეფციასა და სომეხი ახალგაზრდების მოქალაქეობის აღქმას შორის, ასევე, შევაფასოთ ჯავახეთზე არსებული დომინანტური ნარატივის საჭიროება და სამართლიანობა.

კვლევის ქრონოლოგია 2003 წლიდან 2023 წლამდე პერიოდით შემოიფარგლება, თუმცა ისტორიული კონტექსტის საჩვენებლად წინარე პერიოდებსაც მიმოვიხილავთ. ნაშრომის პირველი ნაწილი ასახავს კონცეპტუალურ ჩარჩოს ნაციონალიზმისა და ერის მოდელის გასააზრებლად; მეორე ნაწილში ნაჩვენებია ჯავახეთის სომხებსა და ქართულ ეროვნულ პროექტს შორის ინტერაქციის პროცესი *Longue durée* პერსპექტივაში. მესამე ნაწილში წარმოჩენილია იდენტობის პოლიტიკაში მიმდინარე პროცესები პოსტ-საბჭოთა პერიოდში. ბოლოს კი, გაანალიზებულია საკვლევ ჯგუფში სამოქალაქო იდენტობის ფორმირების პროცესი და კრიტიკულ შუქზეა გამოტანილი მასთან დაკავშირებული რამდენიმე ასპექტი, რასაც, ჩვენი მოსაზრებით, იდენტობის ფორმირების პროცესის ხელშესაწყობად უნდა მიექცეს ყურადღება.

სამოქალაქო ნაციონალიზმის და ერის მოდელი

სამოქალაქო ნაციონალიზმი ერის მშენებლობის ძირითად პრინციპებად აღიარებს ინკლუზიურობას, თანამონაწილეობასა და ღიაობას.[2] ეთნიკური ნაციონალიზმისგან განსხვავებით, იგი იდენტობის მემკვიდრეობით და იმუნურ მარკერებთან არ ასოცირდება და ამასთანავე, ეროვნების არჩევის შესაძლებლობასაც იძლევა. სხვადასხვა მკვლევარი საგანგებოდ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ერის საზღვრებში ყოფნა სიმბოლური პროცესია - „ყოველდღიური პლებისციტი“, რომელიც ინდივიდის არჩევანს ექვემდებარება.[3] ამასთანავე, სამოქალაქო ერი წარმოდგენილია პოლიტიკურ საზოგადოებად, სუვერენული ტერიტორიით, ეკონომიკური ინტერესებით, ცენტრალიზებული ინსტიტუტებით, გაზიარებული კულტურითა და პოლიტიკური პრინციპებით.[4]

მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურა მკაცრად მიჯნავს სამოქალაქო და ეთნიკურ ტიპოლოგიას, ერის მშენებლობის პროცესში წარმოსახვითი საზღვარი ხშირად ირღვევა და როგორც ენტონი სმიტი აღნიშნავს, თითზე ჩამოსათვლელია ის ქვეყნები, რომლებშიც მხოლოდ ერთი სახის ნაციონალიზმია გავრცელებული. შემდგარ დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი, სოციალური ცვლილებები ბაზისურ სამოქალაქო პრინციპებს გამოწვევების წინაშე აყენებს. ამიტომ, შეიძლება ვისაუბროთ არა მხოლოდ ერთგვაროვან, არამედ შერეულ იდეოლოგიებზეც.[5]

სამოქალაქო და ეთნიკური ფორმების აღრევა განსაკუთრებით თვალსაჩინოა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ადგილობრივმა პოლიტიკურმა ელიტებმა, არაერთი მცდელობის

---

[2]Smith, D. Anthony. *Nationalism and Modernism. A critical Survey of Recent Theories of Nations and Nationalism* (London and New York: Routledge, 1998), 210.

[3]Kristina Bakkaer Simonsen, Bart Bonikowski, Is civic nationalism necessarily inclusive? Conceptions of nationhood and anti-Muslim attitudes in Europe, European Journal of Political research 59, no. 1 (2020): 118.

[4]Anthony D. Smith, *National Identity* (England: Penguin Books, 1991), 9-11.

[5]Smith, *Nationalism and Modernism*, 212.

მიუხედავად, ვერ შეძლეს საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის მემკვიდრეობისგან თავის დაღწევა და სამოქალაქო ნაციონალიზმის პრინციპების დაცვა, რაც ერის მშენებლობის პროცესში, სხვადასხვა შრეზე აისახა. ერთი მხრივ, იდენტობის დისკურსის ცენტრში მოექცა დომინანტ საზოგადოებასთან დაკავშირებული წინაპრები, მითები, რელიგია და ეთნიკური ნაციონალიზმის სხვა ელემენტები.[6] მეორე მხრივ, საბჭოური არაფორმალური მმართველობის სტილი - კლიენტალიზმი და კლანური კავშირები არსად გამქრალა, მხოლოდ ფორმა იცვალა და დემოკრატიული სისტემის საფარქვეშ განაგრძო არსებობა.[7]

ეს დებულებები რელევანტურია საქართველოს შემთხვევაშიც. ქვეყანა, რომელსაც იმპერიებში არსებობის ხანგრძლივი გამოცდილება და დამოუკიდებლობის ხანმოკლე ისტორია აქვს, რამდენიმე ათეული წელია განაგრძობს ჭიდილს ეთნიკურ და სამოქალაქო იდეებს შორის. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქართველ პოლიტიკურ ელიტას ეთნონაციონალური პროექტი ერის მშენებლობის ერთადერთ ვარიანტად ესახებოდა. პოლიტიკური და საკადრო ცვლილებების შემდეგ, პოლიტიკური ვექტორი ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ გადაიხარა, რაც ამ დრომდე ოფიციალურ იდეოლოგიადაა აღიარებული. მიუხედავად ამისა, იდენტობის დისკურსი კვლავ ქართულ ჯგუფზეა ორიენტირებული და უმცირესობებზე აქცენტი მკაფიოდ არ ჩანს. განსაკუთრებით, ისტორიის სახელმძღვანელოებში, რომლებიც, ოფიციალური განაცხადების გარდა, ერის წარმოსახვის პროცესზე დაკვირვების ერთ-ერთი თვალსაჩინო ინსტრუმენტია. როგორც რონალდ სუნი აღნიშნავს, სწორედ ისტორიული ნარატივებით შეიძლება წავიკითხოთ ერის განაცხადი საკუთარ თავზე.[8] გარდა ამისა, გამოწვევად რჩება საბჭოთა კლანური მმართველობის სტილი და კლიენტალიზმი, რაც ყოველ ახალ პოლიტიკურ ელიტას ეთნიკურ ჯგუფებზე კონტროლის მოპოვების ბერკეტად ესახება.

ნაშრომში მოყვანილი თეორიული და ემპირიული მიმოხილვიდან გამომდინარე, მასში ვაკეთებთ ორ დაშვებას: 1) სამოქალაქო ნაციონალიზმი, რომელიც, საქართველოში, შევარდნაძის მმართველობის პერიოდიდან დღემდე, პოსტსაბჭოთა ელიტების მთავარი იდეოლოგიაა, ბევრად განსხვავდება იმ თეორიული მოდელისგან, რომელზედაც ქართული სახელმწიფო აკეთებს სწორებას. 2) ერის მშენებლობის პროცესში, ქართულმა პოლიტიკურმა ელიტებმა ვერ შეძლეს ინკლუზიური გარემოს შექმნა და იდენტობის დისკურსში ეთნიკური ჯგუფის სრულფასოვანი ჩართვა. გარდა ამისა, საგანმანათლებლო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ განზომილებებში სათადოდ ვერ შეაფასეს და არ გაიზიარეს უმცირესობების ინტერესები. ამის გამო სამოქალაქო იდენტობის პოლიტიკა რამდენიმე მარტივ თეზამდე დავიდა, როგორიცაა სახელმწიფო ენის ცოდნა და მმართველი გუნდის პოლიტიკური ინტერესებისადმი ლოიალობა.

---

[6]Ronald G. Suny, Contemporary Issues in Historical Perspective, Constructing Primordialism: Old Histories for New Nations, *The Journal of Modern History 73*, no. 4 (2001): 877-878; Taras Kuzio, History, memory and nation building in the post-Soviet colonial space*, Nationalities Papers: The Journal of Nationalism and Ethnicity 30*, no. 2 (2002): 248.

[7]Stefes, Christoph H. Understanding Post-Soviet Transitions Corruption, Collusion and Clientelism (New York: Palgrave Macmillan, 2006), 14.

[8]Suny, Contemporary Issues in Historical Perspective, 870.

ამ ნაშრომში ასევე წარმოვაჩენთ საკითხის მეორე მხარეს. ჩვენი შეხედულებით, როდესაც იდენტობის შექმნაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ ამ „სამუშაოს“ ჰყავს ორი მონაწილე - შემქმნელი და მიმღები. მეორე მხარე ჩვენთვის პასიური მონაწილე არ არის. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო ნაციონალიზმის პირობებში, იდენტობის კონცეფცია შეთანხმების საგანია და პოლიტიკოსთა აღქმებთან ერთად, აუცილებლად გულისხმობს მოქალაქეთა აღქმებსაც.[9] ამის გამო, ვფიქრობთ, რომ სომხური ჯგუფიც ისეთივე აქტორია, როგორც ქართული პოლიტიკური ელიტა, ვინაიდან, სწორედ მას უწევს ცენტრის მიერ შექმნილ ეროვნულ პროექტში საკუთარი ადგილის განსაზღვრა ყოველდღიურად და იდენტობაზე მოლაპარაკების პროცესში საკუთარი ნარატივის შექმნა, რასაც პასიურ ქმედებებად ვერ განვიხილავთ.

სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში იდენტობის პოლიტიკის ფორმირების შესასწავლად გავაანალიზებთ ისტორიულ ნაშრომებს, სახელმძღვანელოებს, ოფიციალურ გამონათქვამებს და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებს. პოსტსაბჭოთა პერიოდის იდენტობის პოლიტიკაზე სომეხი ახალგაზრდების პასუხებს და მათ ინტერაქციას თანამედროვე ქართულ ეროვნულ პროექტთან ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე დავაკვირდებით.

მოქალაქეობის კონცეფციას ჩვენ მიერ გამოკითხული სომეხი ახალგაზრდები უფრო ფართოდ განმარტავენ, ვიდრე სახელისუფლებო წრეები. თუმცა, მათი აღნიშვნით, რეგიონში მოქალაქეობასთან დაკავშირებით დამოკიდებულებები ჭრელია. ახალგაზრდების ნაწილი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, არჩევს მიიღოს ცენტრის მიერ შეთავაზებული იდენტობის მოდელი და მოქალაქეობის არჩევისას რამდენიმე ბაზისური საკითხით შემოიფარგლოს, როგორიცაა - სახელმწიფო ენაზე საუბარი, განათლების მიღება ქართულ უნივერსიტეტში, ლოიალობა მმართველი გუნდის პოლიტიკური ინტერესების მიმართ და მორჩილება კლანური წესრიგისადმი. ხოლო მათ, ვინც ამ შემოთავაზებას არ თანხმდება, სამოქალაქო იდეების უფრო ფართო სპექტრის გავლით სურთ ინტერაქცია ქართულ ეროვნულ პროექტთან, როგორიცაა - ხარისხიანი განათლების მიღება, განათლების გამოყენების და დასაქმების შესაძლებლობა, სათემო აქტივიზმი, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობა, ტოლერანტულ და თანასწორუფლებიან გარემოში ცხოვრება. თუმცა ამ ახალგაზრდების ხმა ცენტრისთვის შეუმჩნეველი რჩება. მათი საჭიროებების დანახვა, ქვემოდან წამოსული იდეების გაზიარება და პოლიტიკური დღის წესრიგში შეტანა მნიშვნელოვანია იდენტობის პოლიტიკის გასაუმჯობესებლად, ჯავახეთზე არსებული დომინანტური ნარატივის გადასალახავად და ინკლუზიური საზოგადოების ფორმირების ხელშესაწყობად.

[9]Simonsen & Bonikowski, “Is civic nationalism necessarily inclusive?“, 118.

ჯავახეთის სომეხთა ინტერაქცია ქართულ ეროვნულ პროექტთან ხანგრძლივ ისტორიულ პერსპექტივაში

პრესაბჭოთა პერიოდი. სომხები ერთ-ერთი უძველესი ხალხია, რომელთაც ქართველებთან თანაცხოვრების ხანგრძლივი ისტორია აქვთ. თანამედროვე საქართველოში სომხური დასახლებები გვხვდება თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, აჭარასა და აფხაზეთში. მათი ფორმირება სხვადასხვა ისტორიულ პერიოდს უკავშირდება.

ქართველი ისტორიკოსების ცნობით, სომხებს წამყვანი პოზიციები ეკავათ ვაჭრობა-ხელოსნობის დარგში. ამის გამო, შუა საუკუნეების პოლიტიკური ელიტები ქართული სამეფო-სამთავროების ეკონომიკური გაძლიერებისთვის, ხელს უწყობდნენ მათ საქართველოში დასახლებას.[10] ისტორიკოსები ასევე მიუთითებენ, რომ ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერიის გამოჩენის შემდეგ, მიგრაციული პროცესები მთლიანად „ცარის“ კონტროლქვეშ გადავიდა და მის ინტერესებს დაექვემდებარა.[11]

1828-29 წლებში, რუსეთისა და ოტომანთა იმპერიებს შორის მიმდინარე ომის რუსეთის სასარგებლოდ დასრულების შემდეგ, რუსეთის ადმინისტრაციამ ახლად შემოერთებულ მიწებზე, მოსახლეობის ჩასახლება დაიწყო. ლოიალური გარემოს შექმნის მთავარ ინსტრუმენტად, იმპერიის მოხელეებს ქრისტიანული რელიგია წარმოედგინათ. ქართველი მუსლიმები, რომელთაც რუსები პროთურქულ ორიენტაციაში ადანაშაულებდნენ, თურქეთში გადაასახლეს, ხოლო მათ ნაცვლად, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიები ყარსიდან, არდაგანიდან, ბაიაზეთიდან და არზრუმიდან წამოსული ქრისტიანი სომხებით დაასახლეს.[12] მე-19 საუკუნის ბოლოდან მეოცე საუკუნის 20-იანი წლების ჩათვლით, მიგრაციის ტალღები ოტომანთა მიერ სომეხთა შევიწროებამ წარმოშვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯავახეთი 1915 წელს მომხდარი სომეხთა გენოციდის[13] შემდეგ, დევნილი მოსახლეობის ერთი ნაწილისთვის ახალ სახლადაც იქცა.[14]

მიგრაციის განსხვავებულმა ხასიათმა საცხოვრებელ ადგილთა თავისებურებები წარმოშვა. თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში სომხები ეთნიკურად ჭრელ სამეზობლოებში აღმოჩნდნენ. ჯავახეთში კი, კომპაქტური დასახლებების გამო, მონოეთნიკური გარემო შეიქმნა. ამან გავლენა მოახდინა მოსახლეობის ჯგუფებს შორის ურთიერთობათა დინამიკაზე. მაგალითად, ქართველებსა და ჯავახეთის სომხებს შორის არასდროს ყოფილა ეთნიკური კონფლიქტი, მაგრამ განსხვავებით თბილისში მცხოვრები სომხებისგან, მათ არც პოზიტიური ურთიერთობის გამოცდილება ჰქონიათ ერთმანეთთან. ბარიერის შექმნას ხელი შეუწყო პოლიტიკურმა ვითარებამ. რუსეთის იმპერიის პოლიტიკური კონიუნქტურის თანახმად,

---

[10]აბაშიძე, ზვიად. დუნდუა, სალომე. *ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში* (თბილისი: ინტელექტი, 2009), 61.

ჯანიაშვილი, ლავრენტი. *სამცხე-ჯავახეთის სომხური მოსახლეობის ყოფა და კულტურა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა) (თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 1999),* 10.

[11]აბაშიძე და დუნდუა, *ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები,* 61.

[12]იქვე, 62.

[13]საერთაშორისო საზოგადოების ნაწილი აღიარებს ამ მოვლენას, როგორც გენოციდს, ნაწილი კი არა.

[14]იქვე, 91.

დამორჩილებულ ხალხებს ევალებოდათ სოციალიზება რუსულ კულტურაში.[15] თბილისსა და დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ქართული ეროვნული პროექტის ჩამოყალიბების შემდეგ, რუსულთან ერთად გავლენიან ენად რჩებოდა ქართული. 1860-იანი წლებიდან ქართული ეროვნული ელიტა ეროვნული პროექტის მთავარ ელემენტებად ენას, რელიგიას და ტერიტორიას განიხილავდა,[16] 1860-იანი წლებიდან კი, რელიგია ისტორიული თანაცხოვრების გამოცდილებით ჩანაცვლდა.[17] ამ პერიოდის ქართული ნაციონალიზმი ეთნიკურ ფუძეზე იდგა. მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნის ქართული ეროვნული ელიტების რიტორიკაში ლიბერალური იდეებიც მკაფიოდ ჩანდა, უმცირესობების მიმართ,[18] ეროვნული პროექტი თავისი ბუნებით მაინც ექსკლუზიური იყო. მასში მკაფიოდ არ იყო გარკვეული არაქართული ეთნიკური ჯგუფების მონაწილეობის შესაძლებლობა.

ამ დროისათვის, არ გვაქვს ფუნდამენტური კვლევა ჯავახეთის სომხების ქართულ ეროვნულ პროექტთან ინტერაქციის შესახებ, თუმცა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მარგინალიზებული და მოწყვეტილი იყო საქართველოში მიმდინარე პროცესებისგან. ამის თქმის საფუძველს, ერთი მხრივ, იძლევა ის ფაქტი, რომ ქართულის გამოყენების საჭიროება სომხურ თემში არ იდგა რეგიონის მონოეთნიკური ხასიათის გამო. გარდა ამისა, ქართულ ელიტას უმცირესობების მიმართ კონკრეტული პროგრამა არ ჰქონია და მათი ინკორპორაციის შესაძლებლობა არ არსებობდა. ამას ემატებოდა ინფორმაციული ვაკუუმი და კომუნიკაციის საშუალებების არარსებობა. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სომხებს ჰქონდათ საკუთარი ეთნიკური კუთვნილება და რუსეთის იმპერიის მოქალაქის სტატუსი. ქართულ ეროვნულ პროექტში ჩართვა, მსგავსი შესაძლებლობის ქონის შემთხვევაშიც კი, მათთვის საინტერესო არ უნდა ყოფილიყო. იდენტობის ასეთ კონფიგურაციას და ზემოთ დასახელებულ ფაქტორებს, ბუნებრივად უნდა გამოეწვია მათი მოწყვეტა ქართული პოლიტიკური, სოციალური და კულტურული რეალიებიდან.

საბჭოთა პერიოდი. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მხოლოდ სამ წელიწადს იარსება. ეს დრო არასაკმარისი იყო იდენტობის პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შესატანად. საბჭოთა მმართველობამ გააგრძელა წინა იმპერიის მმართველობის სტილი, მხოლოდ განსხვავებული იდეოლოგიის საფარქვეშ.

---

[15]Suny, Ronald Grigor. *The Making of the Georgian Nation* (Bloomington and Indianapolis: Indiana University Press, 1994), 172.

[16]ჭავჭავაძე, ილია. „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდან შეშლილის თარგმანზედა," ცისკარი №4 (1861): 593.

[17] ჯავახიშვილი,ივანე. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია (ტფილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა 1938), 3.

[18] ჩხაიძე, ირაკლი. ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ: ნაციონალური პროექტის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში. თსუ, სადოქტორო დისერტაცია, 2016, გვ. 32. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/irakli_chxaidze.pdf (ნანახია, 30.01.2022).

ბოლშევიკი ლიდერებისთვის ერთადერთი სარწმუნო იდეოლოგია მარქსიზმი იყო, რომელიც ნაციონალიზმს გარდამავალ და დრომოჭმულ იდეოლოგიად მიიჩნევდა.[19] თუმცა, საბჭოთა ლიდერებისთვის, მასების მობილიზაციისთვის ეროვნული საკითხებით მანიპულირება მომგებიანი გამოდგა. მათ ნაციონალიზმი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის სამსახურში ჩააყენეს და დიდი და პატარა ჯგუფებისთვის ეროვნული გაძლიერების პროგრამა წამოიწყეს. ეს პროცესი ტერიტორიული უფლების, ენის, კულტურის, ადგილობრივი ელიტის წახალისებით გამოიხატებოდა.[20] გარდა ამისა, ხდებოდა არარუსი ხალხების ასიმილაცია რუსულ კულტურულ სივრცეში. გვიანი სტალინიზმის პერიოდიდან განსაკუთრებით დაწინაურდა რუსული ენა, რუსი გმირები და მითები მათი არარუს ერებთან მეგობრობის შესახებ.[21] აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამდე, სწორედ რუსული ასრულებდა "lingua franca"-ს,[22] ხოლო რუსები „დიდი ძმის" როლს ეთნოსებს შორის კომუნიკაციის პროცესში.[23] მიუხედავად იმისა, რომ ჯავახეთს ეროვნული ავტონომიის სტატუსი არ მიუღია, საბჭოთა ეთნიკურმა პოლიტიკამ ეს ტერიტორია არაფორმალურ კულტურულ ავტონომიად აქცია და ხელი შეუწყო ქართული სივრციდან მის იზოლაციას და მარგინალიზებას.

ვითარება პერესტროიკის შემდეგ შეიცვალა. სწორედ ამ პერიოდიდან გაჩნდა იდენტობასთან დაკავშირებული საკვანძო კითხვები ადგილობრივ მოსახლეობაში. ეროვნული სენტიმენტების გამოღვიძება სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფში პარალელურად დაიწყო, რამაც შექმნა დაპირისპირება იდენტობის საკითხებზე. საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების მსგავსად, სომხებმაც დაიწყეს იმის გამორკვევა, ხედავდნენ, თუ არა საკუთარ ადგილს ეთნონაციონალურ ქართულ სახელმწიფოში. ქართული ეროვნული მოძრაობის აღმავლობისა და რადიკალურ ნაციონალისტურ რიტორიკაზე საპასუხოდ, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, ჯავახეთის სომხებმაც დააფუძნეს ეროვნული ორგანიზაციები, რომელთაგან ყველაზე პოპულარული გახდა „ჯავახკ".[24] ამ ორგანიზაციის ლიდერები აცხადებდნენ, რომ მათი მიზანი უმცირესობების ეთნიკური უფლებების დაცვა და ყარაბაღელი სომხების დახმარება იყო.[25] თუმცა, ამ პერიოდში, ასევე არსებობდა ავტონომიის შექმნის სურვილიც.[26]

---

[19]Ron Eyerman, False Consciousness and Ideology in Marxist Theory, *Acta Sociologica 24*, no.1-2 (1981): 43.
[20]Martin, Terry. *The Affirmative Action Empire. Nations and Nationalism in the Soviet Union 1923-1939* (Ithaca and London: Cornell University Press, 2001), 23, 151.
[21]Martin, Terry. Modernization or Neo-traditionalism? Ascribed Nationality and Soviet Primordialism. In. *Stalinizm: New Directions,* edited by Sheila Fitzpatrick (London and New York, Routledge, 2000) 348-358
[22]Slezkine, Yuri. The Soviet Union as a communal apartment, or how a socialist state promoted ethnic particularism, In *Stalinizm: New Directions*, edited by Sheila Fitzpatrick (London and New York, Routledge, 2000), 313-347.
[23]Fitzpatrick, Sheila. Nationality as a Status. In *Stalinizm: New Directions,* edited by Sheila Fitzpatrick London and New York, Routledge, 2000. 309-312.
[24]ქართულად ითარგმნება, როგორც ჯავახეთი. დაფუძნდა 1988 წელს.
[25]Ter-Matevosyan, Vahram. Currie, Brent. A conflict that did not happen: revisiting the Javakhk affair in Georgia. *Nations and Nationalism 25*, no.1 (2019): 349.
[26]Cornell, Svante. *Small Nations and Great Powers: A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus* (London and New York: Routledge 2006), 167.

საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში, ეთნოსებს შორის დაძაბული მდგომარეობის ჩამოყალიბებას, ორივე ჯგუფში, დემოგრაფიული საფრთხის შეგრძნებაც დაემატა. ამ პერიოდში ქართული ეროვნული მოძრაობის აქტივისტებმა დააფუძნეს „საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი“, რომელიც ქართველთა ეროვნული გადარჩენის იდეებს დაუკავშირდა. მოგვიანებით ორგანიზაციას მთავარი დამაარსებლის, მერაბ კოსტავას სახელი დაერქვა. ფონდის წევრები, უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ სასაზღვრო რეგიონებში ქართველების ჩასახლებას პრიორიტეტულ საკითხად განიხილავდნენ. მათი ხედვით, ამ სტრატეგიას სეპარატისტული ტენდენციები უნდა აეცილებინა.[27] ორგანიზაციის ინიციატივით, 1989 წლიდან, ჯავახეთში ბერძენი და რუსი დუხობორებისგან დაცლილი სახლების შესყიდვა დაიწყო. მათ ადგილას, აჭარის მაღალმთიანი სოფლებიდან მეწყერის შედეგად დაზარალებულ ქართველ მუსლიმებს და სხვა შეჭირვებულ ოჯახებს ასახლებდნენ.[28] 1989-1991 წლებში სულ 258 სახლი შეისყიდეს რეგიონში, მათგან 217 შენობა - ნინოწმინდაში. თუმცა, მხოლოდ 68 სახლმა იპოვა ახალი პატრონი. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ უძრავი ქონება მფლობელის პოვნის შემდეგაც ფონდის თანასაკუთრებაში რჩებოდა და მისი განკარგვა მასში მცხოვრებ პირს გამოსყიდვის შემდეგაც არ შეეძლო დამოუკიდებლად. გარდა ამისა, ჯავახეთის მკაცრი კლიმატის, არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობისა და ადგილობრივი მოსახლეობის ნეგატიური განწყობების გამო, ახალმოსულები რეგიონის დატოვებას ამჯობინებდნენ.[29]

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ოჯახების ჩასახლებას ეთნორელიგიური რუკის არსებითი ცვლილებები არ გამოუწვევია,[30] სომეხ მოსახლეობაში მაინც გაჩნდა უკმაყოფილება. ადგილობრივ მცხოვრებთა პროტესტის ერთ-ერთ გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ არაფორმალური ორგანიზაციის - „ფარვანას“ დაარსება. საგარეო პარტნიორებისგან მიღებული ფინანსური დახმარებით, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ხელმოკლე სომხური ოჯახებისთვის ჯავახეთში დაცლილ სახლებს ყიდულობდა, რათა მათ რეგიონი არ დაეტოვებინათ და დემოგრაფიული სურათი შენარჩუნებულიყო.[31]

აქ დასახელებული ფაქტორები ხელს უწყობდა ჯგუფებს შორის კომუნიკაციის არქონას საბჭოთა კავშირის მმართველობის პერიოდში, ხოლო სისტემის ჩამოშლის შემდეგ მას იდენტობის დაკარგვის საფრთხის შეგრძნებაც დაემატა. ამ ვითარებამ ქართველებშიც და სომხებშიც ურთიერთუნდობლობა და დაძაბული ატმოსფერო წარმოშვა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ჯგუფების ურთიერთობაში არსებული ბზარი კიდევ უფრო გაიზარდა და ურთიერთობების დარეგულირების შესაძლებლობას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ნიადაგი გამოაცალა.

---

[27]ტრიერი, ტომ. ტურაშვილი, მედეა. „ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალ პირთა განსახლება. არსებული პრობლემის გადაწყვეტა თუ ახლის შექმნა? ეკომიგრაცია საქართველოში, 1981-2006“. ECMI-ს მონოგრაფია №6 (თბილისი, 2007): 14.

[28] Лом, Хедвиг. Джавахети после Революции роз: Прогресс и регресс в поисках национального единства в Грузии. Рабочий доклад ECMI №38 (Тбилиси, 2006): 45.

[29] ტრიერი & ტურაშვილი, „ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალ პირთა განსახლება“, 14- 19.

[30]Cornell, *Small Nations and Great Powers*, 64.

[31]Лом,Джавахети после Революции роз, 45-46.

იდენტობის პოლიტიკა პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში

საქართველოში, პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებობა ტრავმატული მოვლენებით დაიწყო. სოციალური ცვლილებების - უმუშევრობის, საკვები, ჰიგიენური და სხვა სახის რესურსების დეფიციტის, ინფლაციის, სამოქალაქო ომის და ორი ტერიტორიული კონფლიქტის ფონზე - გამსახურდიას ხელისუფლება ვერ უმკლავდებოდა სახელმწიფოს მართვას. უმცირესობასთან კომუნიკაციის ნაცვლად, დამოუკიდებელი საქართველოს ახლად არჩეული ხელისუფლება მარგინალიზაციის სტრატეგიას მიჰყვებოდა. ეროვნული პროექტი კი ექსკლუზიურობის პრინციპზე იყო დაფუძნებული. საქართველოს პირველი პრეზიდენტი, სტივენ ჯონსის თქმით, ქართველთა უფლებების დაცვას ცდილობდა და არა უმცირესობების დაჩაგვრას. თუმცა, დისიდენტურმა წარსულმა და ეთნონაციონალისტურმა იდეებმა გამსახურდია ჩიხში შეიყვანა. მის პროექტში არ დარჩა ადგილი არაქართველებისთვის.[32] აღსანიშნავია ისიც, რომ უმცირესობებში გაჩენილმა პროტესტმა გარკვეული პოლიტიკური კომპრომისები წარმოშვა, როგორიც იყო, მაგალითად, ეთნიკურად სომეხი პრეფექტის დანიშვნა ჯავახეთში.[33] თუმცა, უნდა ითქვას, რომ კომპრომისებმა სიტუაცია ვერ შეცვალა. კომუნიკაცია არც ელიტების დონეზე არსებობდა და არც მოსახლეობის. უმცირესობები უარს აცხადებდნენ ეთნიკურ პროექტთან ინტერაქციაზე. ჯავახეთი ადგილობრივი არაფორმალური ორგანიზაციების მიერ კონტროლირებად მარგინალურ ზონად ჩამოყალიბდა.[34]

ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ვითარება შეიცვალა. უნდა ითქვას, რომ მისი მმართველობის პირველი წლები ასევე ტრავმატული მოვლენებით იყო დატვირთული. ქაოსი და განუკითხაობა სოციალური ცხოვრების ნაწილად იყო ქცეული. მიუხედავად ამისა, ჯავახეთის სომხებთან კონტაქტის დამყარების მცდელობები მაინც გაჩნდა. პრობლემა ის იყო, რომ დიალოგი პოლიტიკოსებსა და ადგილობრივ ლიდერებს შორის მიმდინარეობდა, ხოლო მოსახლეობა ერის მშენებლობის პროცესში არ მონაწილეობდა. ცენტრალური ხელისუფლება ჯავახეთის სომეხ ლიდერებს პოლიტიკურ თანამდებობებს ურიგებდა და სანაცვლოდ მათგან ლოიალობას და პოლიტიკურ სიჩუმეს ყიდულობდა. ამ გზით, პრეზიდენტმა შევარდნაძემ შეძლო რეგიონის საკუთარ კონტროლქვეშ მოქცევა.[35] პოლიტიკური კონტროლის გასაძლიერებლად, მან ჯავახეთის რეგიონი სამცხესთან შეაერთა და 1994 წელს ერთიანი ადმინისტრაციული ტერიტორია შექმნა. გაერთიანების საწინააღმდეგოდ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა 18 000 ხელმოწერა შეაგროვეს და 1997

---

[32]Jones, Stephen. Georgia: Nationalism from under the Rubble. In *After Independence: Making and Protecting the Nation in Postcolonial and Postcommunist States,* edited by Lowell Barrington (USA: University of Michigan Press, 2006), 248-276.

[33]Wheatley, Jonathan. The Integration of National Minorities in the Samtskhe-Javakheti and Kvemo Kartli provinces of Georgia. EMCI Working Paper №44 (Tbilisi, 2009): 26.

[34]Wheatley, Jonathan. Managing ethnic diversity in Georgia: one step forward, two steps back. *Central Asian Survey 28*, no. 2 (2009): 123.

[35]Лом, Джавахети после Революции роз, 14.

წელს მთავრობას წარუდგინეს, თუმცა შევარდნაძე დათმობაზე არ წავიდა. ერთი წლის შემდეგ, აჭარის პრორუსმა ლიდერმა, ასლან აბაშიძემ, ჯავახეთის სომეხ ლიდერებს პროვინციის აჭარის ავტონომიის ფარგლებში გაერთიანება შესთავაზა. თუმცა ამ შეთავაზებაზე უარი მიიღო. სომეხ ლიდერებს უარის თქმის მიზეზი საჯაროდ არ დაუსახელებიათ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ჯავახეთის საკითხით დაინტერესებული მკვლევრები აბაშიძის წინადადებაში რუსეთის გავლენებს ამოიკითხავენ.[36]

შევარდნაძის იერარქიული და ცენტრისტული სტრატეგიის მიუხედავად, ამავე პერიოდიდან იდენტობის პოლიტიკაში ძვრები დაიწყო. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ საკანონმდებლო ცვლილებები. 1993 წელს მიღებული კანონი მოქალაქეობის შესახებ არ ითხოვდა სახელმწიფო ენის, ან ისტორიის ცოდნას მოქალაქის სტატუსის მისაღებად. განათლების კანონი უმცირესობებს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობას აძლევდა. სასამართლო სხდომებზე არაქართველებს შეეძლოთ გამოეყენებინათ თარჯიმანი, შეიქმნა ენის სწავლების პროგრამები. ყოველივე ეს ეროვნული პროექტის ცვლილებაზე და სამოქალაქო იდეოლოგიის ჩანასახების გაჩენაზე მიუთითებდა,[37] თუმცა ღია საკითხები კვლავ რჩებოდა. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი საკითხი იყო იდენტობის დისკურსი. ამ პერიოდის ქართულ ისტორიულ ნარატივში ისტორიკოსთა აქცენტი მხოლოდ ქართულ ჯგუფს ეთმობოდა,[38] რაც ინკლუზიურობის პრინციპს გამორიცხავს. გარდა ამისა, ერის მშენებლობის პროცესიდან, ადგილობრივი მოსახლეობა, პოლიტიკურ და ეკონომიკურ დონეზეც სრულად გარიყული აღმოჩნდა. კლანური მმართველობის გამო, სომეხ მოსახლეობას პასიური პოლიტიკური კულტურა განუვითარდა. რეგიონში, მათ ნაცვლად, გადაწყვეტილებას ცენტრალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაში მყოფი რამდენიმე პირი იღებდა. ადმინისტრაციული რესურსებიც მათ ხელში იყო თავმოყრილი.[39] ჯავახეთის მცხოვრებლები თავს ძირითადად სოფლის მეურნეობით და რუსული სამხედრო ბაზის მიერ შექმნილი სამუშაო ადგილებით ირჩენდნენ.[40] შესაბამისად, ლოიალობა ჩამოუყალიბდათ იმ საგარეო კურსის მიმართ, რომელიც საქართველოს ინტერესებში არ შედიოდა. გარდა ამისა, სახელმწიფო ენის პროგრამები, კადრების დეფიციტის და დაბალი კვალიფიკაციის გამო, გამართულადვერ მუშაობდა. მოსახლეობისთვის დიდხანს გაუგებარი რჩებოდა ადმინისტრაციული საქმიანობის წარმოების ენად ქართულის გამოცხადებაც, რადგან რეგიონში მისი გამოყენების საჭიროება არ არსებობდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლება ამ საკითხში დათმობაზე წავიდა და თვალს ხუჭავდა ადმინისტრაციული წარმოების ენად სომხურის გამოყენებაზე.[41]

ზემოთ დასახელებულ პრობლემებს ემატებოდა კონტაქტის საშუალებების - ინფრასტრუქტურა, ქართული პრესა, რადიო ან ტელევიზია, რომელიც მოქალაქეებს დანარჩენ საქართველოსთან კომუნიკაციის დამყარებაში დაეხმარებოდა - არარსებობაც. ჯავახეთის

---

[36]Ter-Matevosyan, Brent, A conflict that did not happen, 13.

[37]Jones, Georgia: Nationalism from under the Rubble, 260.

[38] ასათიანი, ნოდარ. საქართველოს ისტორია IX კლასის სახელმძღვანელო (თბილისი: განათლება, 1995).

[39]Kopeček, Trapped in informality?, 66-67.

[40]Wheatley, Managing ethnic diversity, 126.

[41]Kopeček, Trapped in informality? 66.

მოსახლეობა სრულად იყო მოწყვეტილი ქართულ სახელმწიფოს და იქ მიმდინარე კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებს. კოპეჩეკი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მიუხედავად ავტონომიის სტატუსის არქონისა, ადგილობრივი სომხები არაფორმალურ ავტონომიაში ცხოვრობდნენ.[42] ამ მარგინალიზაციის ფონზე ისინი საკუთარი ინტერესების დაცვას ცდილობდნენ, რისთვისაც დააფუძნეს ახალი ორგანიზაციები -„ვირქი“[43] და „ჯემმ“[44], რომელთა მთავარი მიზანი ჯავახეთში პოლიტიკური ავტონომიის და რუსული ბაზის დარჩენის საკითხების ლობირება იყო.[45]

ორივე საკითხი, რომელზეც ადგილობრივი მცხოვრებლები საუბრობდნენ, ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორთან იყო შეჭიდული. მკაცრი კლიმატის, სამუშაო ადგილების დეფიციტის და რესურსებზე მაღალი კონკურენციის გამო, ჯავახეთში სოციალური უკმაყოფილების დონე იზრდებოდა. ცენტრში, მოსახლეობის მიზნებსა და მოტივებზე სოციალური პერსპექტივიდან არ უფიქრიათ. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (სამხრეთ ოსეთი) მიღებული გამოცდილების შემდეგ, სომეხთა წინააღმდეგობას ქართველებმა სეპარატიზმი დაარქვეს. თავად ჯავახეთი კი, შევარდნაძის მმართველობის პერიოდის ბოლომდე, პოტენციური კონფლიქტის კერად მიიჩნეოდა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ იდენტობის პოლიტიკა საგრძნობლად შეიცვალა. მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც პრეზიდენტის პოსტზე ერის მშენებლობის პროდასავლური პროგრამით მოვიდა, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ნაბიჯები გადადგა. საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, 2004 წლიდან, ძალაში შევიდა ახალი სახელმწიფო სიმბოლიკა (დროშა, ჰიმნი, გერბი), რაც თვალსაჩინოდ ასახავდა ქვეყნის დევიზს „ძალა ერთობაშია“. ამ სიმბოლურ მოდიფიკაციებთან ერთად, სააკაშვილის რიტორიკაში არაერთხელ გაჟღერდა, რომ ყველა ეთნიკური უმცირესობა ქართული სახელმწიფოებრიობის განუყოფელი ნაწილი და თანასწორი მოქალაქე იყო.[46] 2006 წელს მოხდა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის რატიფიკაცია. 2009 წელს დამტკიცდა „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია“. გარდა ამისა, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ინტეგრაციის საკითხებში, ახალქალაქში საკუთარი წარმომადგენლობა მიავლინა, რომლის ხელმძღვანელადაც ადგილობრივი კადრი დაინიშნა.[47]

კომუნიკაციის გაუმჯობესების მცდელობაზე მიანიშნებდა ისიც, რომ ჯავახეთი პერიოდულად ექცეოდა ქართული მედიის ყურადღების ცენტრში, შუქდებოდა იქ მიმდინარე საარჩევნო, პოლიტიკური და საგანმანათლებლო მოვლენები. ამას გარდა, სომხურ ენაზე ითარგმნებოდა რამდენიმე გადაცემა. თუმცა, როგორც კვლევებმა აჩვენა, 2000-იანი წლების ბოლოს ქართულ მედიას თვალს ადევნებდა ადგილობრივი მოსახლეობის დაახლოებით

---

[42] იქვე.

[43]დაფუძნდა 1990-იანი წლების ბოლოს.

[44]დაფუძნდა 2001 წელს, ითარგმნება როგორც ჯავახეთის ახალგაზრდული სპორტული კავშირი.

[45]Wheatley, The Integration of National Minorities, 26.

[46] Blauvelt, Timothy. Berglund, Cristopher. Armenians in the Making of Modern Georgia. In *Armenians in Post-Socialist Europe*, edited by Konrad Siekierski & Stefan Troebst, 69-85 (Köln: Böhlau, 2016).

[47] Метревели, Екатерина. Ключевые тенденции в системе управления в Джавахети. *Джавахети вызовы и перспективы (*Тбилиси: Грузинский фонд стратегических и международных 2013), 8.

25%.[48] ერთი მხრივ, ამის მიზეზი ის იყო, რომ მოსახლეობამ ქართული არ იცოდა, ხოლო, მეორე მხრივ, ქართულ მედიაზე წვდომა ფასიანი იყო მათთვის.[49]

საკანონმდებლო და საინფორმაციო სფეროს მიღმა დაიწყო ტრანსპორტირების საშუალებების აღდგენა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება,[50] ასევე საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა,[51] მათ შორის იყო ენის სწავლების პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის", „ქართული, როგორც მეორე ენა" და „1+4", რომელიც უმცირესობებს აძლევდა უფლებას მშობლიურ ენაზე ჩაებარებინათ უნივერსიტეტში მისაღები გამოცდა.[52] გარდა ამისა, განათლების სტანდარტიზაციისთვის დაიწყო სახელმძღვანელოების თარგმნა სომხურ ენაზე,[53] ამ რეფორმებმა აქ მცხოვრები ადამიანებისთვის გახსნა შესაძლებლობების ფანჯარა, ახალგაზრდებში გააჩინა თბილისში სწავლის გაგრძელების სურვილი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა კი ის იყო, რომ შეიქმნა ისტორიის ახალი სახელმძღვანელო. მისი ავტორები, ქართული სახელმწიფოს შექმნაში ფოკუსირებულნი აღარ იყვნენ მხოლოდ ქართველებზე და აჩვენებდნენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების როლს ქართული სახელმწიფოს შექმნაში.[54]

ამ სასიკეთო ძვრების მიუხედავად, რეფორმების პროცესში იყო ხარვეზები. ქართული ენის სწავლება ადგილობრივი კადრების სათანადოდ მოუმზადებლად დაიწყო. მასწავლებელთა საგნობრივი კვალიფიკაცია ენის სწავლების სტანდარტს ვერ აკმაყოფილებდა. გარდა ამისა, სასკოლო სახელმძღვანელოები არაეფექტიანი იყო სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებისთვის. მაგალითად, მასალა არ იყო გათვლილი უფროსკლასელების ფაქტობრივ ცოდნაზე და ისინი პროგრამის სათანადოდ გავლას ვერ ახერხებდნენ. ამასთანავე, სახელმწიფო სტიპენდიები სომეხი აბიტურიენტებისთვის შეზღუდული რაოდენობით დაწესდა და ბევრი ახალგაზრდა რესურსების გარეშე დარჩა.[55] ამას გარდა, ურთიერთობების ვექტორი ცენტრსა და ადგილობრივ საზოგადოებას შორის ორმაგ უნდობლობაზე მიუთითებდა. სომხები სწრაფი ინტეგრაციის მოთხოვნას ეთნიკური იდენტობის და ენის დაკარგვის საფრთხედ აღიქვამდნენ, რის ერთ-ერთ მაგალითად, შეიძლება დასახელდეს სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლებისადმი პროტესტის გაჩენა. ადგილობრივი მოსახლეობა მოითხოვდა, სომხურ სკოლებში ფაკულტატიურ საგნად მაინც დარჩენილიყო სომხეთის ისტორია. სახელმწიფო მოუმზადებელი შეხვდა ამ მოთხოვნას. სომხეთის ისტორია სასწავლო საგნად დარჩა, თუმცა სახელმძღვანელოების შექმნა საქართველოში ვერ მოხერხდა.

---

[48] Жвания, Ирина. Абашидзе, Тамара. Китиашвили, Анастасия. Опрос населения Джавахети «Барометр 2013». Джавахети вызовы и перспективы (Тбилиси: Грузинский фонд стратегических и международных 2013), 30.

[49]ინფორმაცია ჩაიწერა ქეთევან ეფაძემ, 2012 წელს, ჯავახეთში საველე კვლევის დროს.

[50]Лом, Джавахети после Революции роз, 8-9, 40.

[51]Метревели, Екатерина. Ключевые тенденции, 9.

[52]Metreveli, An undisclosed story of roses, 707.

[53]Wheatley, The Integration of National Minorities, 13.

[54] მალაზონია, დავით. კვიტაიშვილი, ნინო. მალაზონია, თამარ. საქართველოს ისტორია (სახელმძღვაელო) (თბილისი: ბიოგრაფიული ცენტრი, 2008), 21.

[55]ამ მოვლენებს ნაშრომის თანაავტორი ქეთევან ეფაძე ჯავახეთში, 2011 და 2015 წლებში, საველე მუშაობის დროს აკვირდებოდა.

ამის გამო, სკოლებში რამდენიმე წლის განმავლობაში ერევნიდან ჩამოსულ წიგნებს იყენებდნენ,[56] ხოლო მოგვიანებით საგანი გააუქმეს.

გარდა ამისა, წინააღმდეგობა გაჩნდა სახელმწიფო ენის გამოყენების მიმართაც.[57] მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომელსაც საბჭოთა კავშირსა და 1990-იან წლებში საშუალო და უმაღლესი განათლების მიღება მოუხდათ, ყოველდღიური კომუნიკაციის ენად სომხური ან რუსული რჩებოდა. ენის შესწავლას ისინი პრობლემურ საკითხად აღიქვამდნენ, ეწინააღმდეგებოდნენ ქართულის გამოყენებას სამსახურის შენარჩუნების კრიტერიუმად და ორგვარ გამოსავალს სთავაზობდნენ სახელმწიფოს: ჯავახეთში სომხურის ადმინისტრაციული წარმოების ენად გამოცხადებას, ან 15-20 წლის ვადით გარდამავალი პერიოდის შემოღებას. მათი შეფასებით, მეორე ინიციატივის მხარდაჭერის შემთხვევაში, დასახელებულ დროში ისინი შეძლებდნენ ენის არცოდნის პრობლემის აღმოფხვრას.[58]

რეფორმების მიმართ რეგიონში არსებული დამოკიდებულებების შეფასება აჩვენებს, რომ ქართულ ეროვნულ პროექტთან ინტერაქციას ადგილობრივი მოსახლეობა ასიმილაციად[59] აღიქვამდა, ხოლო საკუთარ თავს სახელისუფლებო პოლიტიკის მსხვერპლად.[60] თავდაცვის ერთ-ერთ ბერკეტად მათ რუსეთის დახმარება წარმოედგინათ, რომლის სამხედრო ბაზები 2007 წლამდე ჯავახეთის ტერიტორიაზე იყო განლაგებული. საყურადღებოა ისიც, რომ 2000-იან წლებში, რეგიონში მოქმედებდა არაერთი აქტიური ორგანიზაცია, რომელიც ავტონომიის შექმნის საკითხზე მუშაობდა. ამ მოთხოვნას მხარს უჭერდა მოსახლეობის ნაწილი, რომელიც რუსული ბაზების სახით უსაფრთოხების გარანტორსა და ეკონომიკური შემოსავლების მთავარ წყაროს ხედავდა.[61]

ჯავახეთში არსებულ პროტესტსა და წინააღმდეგობას რეფორმებისადმი, ცენტრი სწორხაზოვნად აღიქვამდა. ქართული პოლიტიკური ელიტა, რომელსაც მწვავე დაპირისპირება ჰქონდა რუსეთთან და საქართველოს მის მსხვერპლად განიხილავდა, ჯავახეთის სომეხთა იმედს რუსეთის მხარდაჭერის შესახებ, ტოლერანტულად არ შეხვედრია. რუსეთის ფიგურირებამ ორი ჯგუფის ურთიერთობაში წითელი ღილაკი აანთო. უმცირესობაში არსებული სოციალური წუხილები უსაფრთხოების დილემას მიება და ლოურენს ბროერსი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ქართულ მედიაში, აკადემიურ წრეებსა და ნაციონალურ აქტორებში სეპარატიზმის სახელი დაერქვა.[62]

სეპარატიზმის იმიჯის განმტკიცებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ რუსული ბაზების გასვლის შემდეგ მოსახლეობის ნაწილმა სამუშაო ადგილები დაკარგა და რუსეთში წამსვლელთა რიცხვი გაიზარდა. ადგილობრივი მოსახლეობა სეზონურად მიგრირებდა სახელმწიფოში, რომელსაც ოფიციალური კურსი მტრად აცხადებდა. საყურადღებოა ისიც,

---

[56] Лом, Джавахети после Революции роз. 33.
[57]იქვე, 37.
[58]იქვე, 41.
[59]იქვე, 38.
[60]Broers, Laurence. Filling the Void: Ethnic Politics and Nationalities Policy in Post-Conflict Georgia. *Nationalities Papers: The Journal of Nationalism and Ethnicity, 36*, no. 2 (2008): 289.
[61]Ter-Matevosyan, Brent, A conflict that did not happen, 18.
[62]Broers, Filling the Void, 289, 293.

რომ რუსეთმა საქართველოსთან ომის შემდეგ მოქალაქის მინიჭების პროცედურა გაამარტივა, რითაც ბევრმა სომეხმა ისარგებლა.[63] ამან უნდობლობა ჯგუფის მიმართ გაზარდა.

სომეხ მოსახლეობაში ლოიალობის მოსაპოვებლად, ხელისუფლებამ ახალი კლანური ჯგუფები შექმნა და რეგიონში თავდაცვის ორგანოების მუშაობა გააძლიერა.[64] ურჩი მოსახლეობის დასასჯელად კი პოპულისტური სტრატეგია შეიმუშავა. შექმნა „ცუდი" სომეხის იმიჯი, რომელიც საგარეო პოლიტიკური კრიზისის დროს, რუსეთთან ურთიერთობების დაძაბვის შემდეგ გააქტიურდა და შიშის ატმოსფერო წარმოშვა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ვაჰაგან ჩახალიანის შემთხვევა. სომეხი აქტივისტისგან „ცუდი ბიჭის" გამოძერწვას ხელს უწყობდა თავად აქტივისტის ექსცენტრული ხასიათი და რადიკალური ქცევები. იგი ორგანიზაცია „ერთიანი ჯავახეთის" დამაარსებელი და რუსეთის ბაზების დარჩენის მხარდამჭერი იყო. 2006 წელს ჩახალიანმა საარჩევნო კომისია დაარბია, მონაწილეობდა რუსეთის ბაზების გაყვანის წინააღმდეგ გამართულ დემონსტრაციებში.[65] სომეხი აქტივისტის განცხადებით, მისი ქმედებები უმცირესობების უფლებების დაცვისკენ იყო მიმართული: „ჩვენ სტაბილურობა გვინდა და არა ომი. ჩემი ცოლი ქართველია, რაში მჭირდება კონფლიქტი? ჩვენ გვქონდა გამოყოფის შანსი 90-იანებში, მაგრამ არ გამოვიყენეთ", - აცხადებდა ჩახალიანი.[66]

ცენტრში რუსეთის მიმართ ნდობის და პოლიტიკური პროტესტის სოციალური მოტივი შეუმჩნეველი დარჩა. ჩახალიანს აქტივობა სეპარატიზმში ჩაუთვალეს და 2008 წელს, იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებით, ოჯახის წევრებთან, მამასთან და ძმასთან ერთად დააპატიმრეს.[67] ამ დროიდან იგი პოპულარულ, მაგრამ „ცუდ სომეხად", არა მხოლოდ რეგიონში, არამედ რესპუბლიკური მასშტაბითაც იქცა. ციხეში ყოფნის დროს, ჩახალიანი ამბობდა, რომ ინტეგრაციის მოთხოვნით, სახელმწიფო ზეწოლას ახორციელებდა ჯავახეთის სომხებზე, და მათ მთავრობის მოთხოვნებისადმი ლოიალურ და დაუმორჩილებელ ჯგუფებად ყოფდა. მისი მიზანი ამ გახლეჩის აცილება და უმცირესობების უფლებების დაცვა იყო.[68] მის განცხადებებს და სამხილების გაყალბების შესახებ საჩივრებს სასამართლოს მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. 2013 წელს, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ჩახალიანს ამნისტია შეეხო და ციხიდან გამოვიდა.[69] თუმცა, საინტერესოა ის ფაქტი, რომ გათავისუფლების შემდეგ მან პოლიტიკური აქტივობის არეალი შეცვალა და ჯავახეთიდან ერევანში გადაინაცვლა.[70]

ქართულმა ოცნებამ საკუთარი მმართველობა ეთნონაციონალისტური რიტორიკით დაიწყო. ჯავახეთის მოსახლეობა კრიტიკულად შეხვდა 2012 წელს, არჩევნებში გამარჯვებული

---

[63]„თუ გინდათ მოქალაქეობა, ისწავლეთ ქართული" – პრეზიდენტი ეთნიკურ სომხებს მოქალაქეობის აღდგენაზე, https://sknews.ge/ka/old/22216, (ნანახია 27.12.2022).

[64] Kopeček, Trapped in informality?, 69.

[65]Лом, Джавахети после Революции роз, 17,21.

[66]Лом, Джавахети после Революции роз, 50.

[67]Метревели, Ключевые тенденции, 15.

[68]შეშაბერიძე, ანა. „ვაჰაგნ ჩახალიანი ლიკვიდაციის საფრთხის წინაშე". *Human Rights Ge*, 13 აგვისტო, 2009, http://www.humanrights.ge/index.php?pid=7783&lang=geo (ნანახია 27.12.2022).

[69]Метревели, Ключевые тенденции, 15.

[70]ლიკლიკაძე, კობა. „ვაჰაგნ ჩახალიანი ფაშინიანის მოწინააღმდეგეთა ავანგარდში". *რადიო თავისუფლება*, 11 ნოემბერი, 2020, shorturl.at/oBEI4 (ნანახია 27.12.2022).

პარტიის დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს, რომელშიც მათი მისამართით ნათქვამი იყო: *„თქვენი სამშობლო სომხეთი აქვეა. ჩემთვის ეს გაუგებრია. ვცხოვრობდი საფრანგეთში, აშშ-ში, თუმცა ყოველთვის ჩემი სოფელი მესიზმრებოდა“.*[71] ამ განცხადებას ნეგატიურად გამოეხმურნენ ერევანშიც. სომხეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, არტაკ ზაქარიანმა აღნიშნა, რომ ივანიშვილის ფრაზა „საქართველო ქართველებისთვის“ პოლიტიკის გაგრძელებაზე მიუთითებდა. მეზობლებთან დავის ასარიდებლად და შიდა დაძაბულობის განსამუხტად, პარტიის პრესსამსახურმა განმარტა, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერის სიტყვები არასწორად იყო აღქმული.[72] ამ ინციდენტის შემდეგ, ქვეყნის დომინანტ იდეოლოგიასთან დაკავშირებით კითხვები დროებით გაქრა საჯარო სივრციდან.

„ქართული ოცნების“ მხარდაჭერილ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს ჯავახეთის სომხების შესახებ განცხადებები არ გაუკეთებია, თუმცა, მისი შემცვლელი სალომე ზურაბიშვილი რამდენჯერმე აღმოჩნდა უხერხულ სიტუაციაში საკუთარი განცხადებების გამო. 2018 წლის 2 ოქტომბერს, ნინოწმინდაში შეკრებილ მოქალაქეებთან შეხვედრისას ზურაბიშვილმა დისკრიმინაციული განცხადება გააკეთა. მისი თქმით, მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა *„ძალიან ბევრი მოქალაქეობა დაურიგა თურქებს“*, თუმცა საქართველოში მცხოვრები სომხები მოქალაქეობის გარეშე დატოვა.[73] ამ პოპულისტური განცხადებით მან სცადა ადგილობრივთა განწყობების მანიპულირება და აგრესიის ვექტორის მიმართვა ოპოზიციაზე, რომელსაც წინა წლებში მმართველი გუნდის პოზიცია ეჭირა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში ორმაგი მოქალაქეობის კანონი 2013 წელს, ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გაუქმდა. რის შედეგადაც, ჯავახეთის მცხოვრებლებს, რომლებიც სამუშაო ადგილების არარსებობის გამო, რუსეთში სეზონური მიგრაციით ირჩენდნენ თავს, ბევრი პრობლემა შეექმნათ. „რადიო თავისუფლების“ მონაცემებით, ჯავახეთის მკვიდრმა 2800-მდე სომეხმა მოქალაქეობის დაკარგვის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ საქართველოს საზღვრის კვეთის დროს შეიტყო.[74]

საყურადღებოა ისიც, რომ ზურაბიშვილის განცხადება, პოპულისტური შინაარსის მიღმა ისტორიულ ნიუანსებსაც მოიცავდა. ოფიციალურ სომხეთს მიმდინარე დავა აქვს თურქეთთან გენოციდის აღიარების საკითხზე. ამის გამო ჯგუფებს შორის კონფლიქტური დამოკიდებულებები დღესაც არსებობს. ისტორიული კონტექსტისა და სამართლებრივი საკითხების გათვალისწინებით, 15-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ დაგმო პრეზიდენტის

---

[71]„The Armenian Weekly: ჯავახელ სომხებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა თავიანთი შვილები სომხებად აღზარდონ!" *„კვირის პალიტრა“.* 8 თებერვალი, 2013. https://kvirispalitra.ge/article/15628-the-armenian-weekly-qjavakhethis-aghordzinebis-perspeqtivebiq/ (ნანახია 27.12.2022).

[72]ავალიანი, დიმიტრი. „'საოცნებო' მეზობლობა.“ ტაბულა, 1 მარტი, 2013. https://tabula.ge/en/news/551912-saotsnebo-mezobloba (ნანახია 27.12.2022).

[73] „სალომე ზურაბიშვილის განცხადება ქსენოფობიად შეფასდა“, „რადიო თავისუფლება“, 4 ოქტომბერი, 2018, https://www.radiotavisupleba.ge/a/29525248.html (ნანახია, 30.01.2023).

[74] იველაშვილი, მაია. „რატომ ვერ იბრუნებენ საქართველოში დაბადებული სომხები მოქალაქეობას?“, *„რადიო თავისუფლება“,* აპრილი 19, 2019 shorturl.at/jtLV3 (ნანახია, 30.01.2023).

სიტყვები. მათი შეფასებით, 2 ოქტომბრის გამოსვლაში ჩანდა შუღლის გაღვივების მცდელობა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის და თანასწოროფლებიანობის პრინციპის დარღვევა.[75]

სამოქალაქო ნაციონალიზმის პოლიტიკური პრინციპები სადავო გახადა ისტორიის ახალმა სახელმძღვანელოებმაც, რომლებიც 2012 წლიდან შეიცვალა და შემდგომ წლებშიც გამოიყენებოდა საჯარო სკოლებში. ახალ ნარატივში ავტორთა აქცენტი კვლავ ქართველ ეთნიკურ ჯგუფზე გადაერთო, ხოლო უმცირესობების თანამონაწილეობა ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში ყურადღების მიღმა დარჩა.[76]

ახალი ხელისუფლების პოზიტიურ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს ის ფაქტი, რომ „კარგი“ და „ცუდი“ სომეხის დაყოფა საჯარო დისკურსში აღარ გამოჩენილა. თუმცა, 2012 წლიდან ამ დრომდე, იდენტობის პოლიტიკაში არსებითად არაფერი შეცვლილა. ქართული ოცნება წინა ხელისუფლების ხაზს მიჰყვება საგანმანათლებლო პოლიტიკაში. 2000-იან წლებში დაწყებული პროგრამები გრძელდება და მათ ნაყოფიერ შედეგს წარმოადგენს თბილისში სწავლის გაგრძელების მსურველთა რიცხვის ზრდა, ასევე, სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება ახალგაზრდებში. ქართულის სწავლების დინამიკა ახალქალაქის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, ნარცის კარაპეტიანმა 2015 წელს ჩაწერილ ინტერვიუში დადებითად შეაფასა: *„წლების განმავლობაში ქართულის შესწავლა მოსწავლეთა სურვილზე იყო დამოკიდებული, მათ თუ სურდათ, ესწრებოდნენ გაკვეთილს, თუ არა - აცდენდნენ. ასეთმა დამოკიდებულებამ და არაპროფესიონალიზმმა გამოიწვია ის, რომ საქართველოში მცხოვრებმა უმცირესობებმა არ იციან სახელმწიფო ენა. თუმცა ბოლო წლებში ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალა. ეს აისახება ახალაქალაქის სკოლის მოსწავლეთა ჩართულობაზე სხვადასხვა ინტელექტუალურ კონკურსებში“.*[77]

გამოწვევები ენის სწავლების პროცესს კვლავ ახლავს. ერთ-ერთ ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ორენოვანი ისტორიის სახელმძღვანელოების გამოცემა, რომლებშიც ინფორმაციის მცირე ნაწილი სომხურად, ხოლო დიდი ნაწილი ქართულადაა გადმოცემული. ადგილობრივი ისტორიის მასწავლებლებისთვის ეს პრობლემას წარმოდგენს, რადგან ბევრმა მათგანმა არ იცის ქართული.[78] კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა „1+4“ პროგრამას უკავშირდება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქართული ენის შესწავლა თითოეულ ეთნიკურ ჯგუფზე, სტუდენტთა ნაწილს, უნარების გამოცდის მიხედვით უფინანსდება. მოწყვლადი ჯგუფები განათლების მიღების გარეშე რჩებიან, რადგან არ აქვთ რესურსები საკუთარი

---

[75] „სალომე ზურაბიშვილის განცხადება ქსენოფობიად შეფასდა“, *„რადიო თავისუფლება“,* 4 ოქტომბერი, 2018, https://www.radiotavisupleba.ge/a/29525248.html (ნანახია, 30.01.2023).

[76] ჯანელიძე, ოთარ. თაბუაშვილი, აპოლონ. თავაძე, ლერი. ირემაშვილი, ნანა. საქართველოს ისტორია, IX კლასი (თბილისი: კლიო, 2012).

Ot'ar Janeliže et al., *Sak'art'velos istoria: IX klasi (*T'bilisi: klio 2012).

[77]ინტერვიუ ნარცის კარაპეტიანთან, ჩაწერეს ქეთევან ეფაძემ და დავით ჭიკაძემ, სამაგისტრო კვლევისთვის, ჯავახეთში, 2015 წლის მაისში.

[78]„საქართველოს ისტორია ნახევრად სომხურ სახელმძღვანელოებში“, *JNEWS*, 16 მარტი, 2022. https://ka.jnews.ge/?p=22576,(ნანახია 03.01.2023).

ფინანსებით ისწავლონ, გადაიხადონ ბინის ქირა თბილისში და საყოფაცხოვრებო ხარჯებიც დაფარონ.[79]

ენის შესწავლა კვლავ გამოწვევად რჩება მოსახლეობის ნაწილში, რომელიც მონოეთნიკურ გარემოში ვერ ხედავს საჭიროებას ილაპარაკოს ქართულად და სახელმწიფო ენის გამოყენების მოთხოვნას დისკრიმინაციად აფასებს. ისინი აკრიტიკებენ ხელისუფლებას ინტეგრაციის პოლიტიკის ენობრივ კომპეტენცამდე დაყვანისთვის და მიიჩნევენ, რომ მოქალაქეობა ენის ცოდნის გარდა, სხვა სახის სამოქალაქო პასუხისმგებლობებს, უფლებებს და ვალდებულებებს უნდა მოიცავდეს. 2015 წელს ჩაწერილ ინტერვიუში ახალქალაქის მაშინდელი დეპუტატი ოპოზიციური პარტიიდან, სამველ პეტროსიანი აღნიშნავდა: *„ცოტა ხნის წინ, პარლამენტში სურდათ მიეღოთ კანონი სახელმწიფო ენის დაცვის თაობაზე. ეს პოპულისტური კანონია, რომლითაც აიძულებენ ადამიანებს გაიქცნენ აქედან. საქართველოში ამჟამად, პირველ ადგილზე დგას ენა. დავუშვათ, მე კარგი ქირურგი ვარ, მაგრამ არ ვიცი ქართული. მეუბნებიან: თუ სახელმწიფო ენა არ იცი, ვერ იმუშავებ! უმჯობესია მე ცუდი ქირურგი ვიყო და ადამიანები დავჩეხო, მაგრამ ქართული კარგად ვიცოდე. ეს ბარიერი როგორღაც უნდა გადაილახოს, პირველ ადგილზე პროფესიონალიზმი უნდა იყოს“.*[80]

მოქალაქეობის ენობრივ კომპეტენციამდე დაყვანას ეხმიანება სალომე ზურაბიშვილის 2019 წელს ჯავახეთში გაკეთებული განცხადება. 14 აპრილს, სახელმწიფო ენის დღის აღსანიშნ ღონისძიებაზე, ჯავახეთში ჩასულმა პრეზიდენტმა ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრისას ყურადღება გაამახვილა საკუთარ ინიციატივაზე ორმაგი მოქალაქეობის დაბრუნების შესახებ და განაცხადა: *„დღეს ყველას აქვს უფლება დაიბრუნოს და აღიდგინოს საქართველოს მოქალაქეობა. ამისთვის უნდა გადადგათ ერთი ნაბიჯი, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ გინდათ მოქალაქეობა ამ ქვეყნის, ეს არის ამ ენის სწავლა იმ დონეზე, მაინც რომ ჩააბაროთ ის პატარა გამოცდა, რაც თან ახლავს მოქალაქეობის აღდგენის პროცესს. ეს არის სიმბოლური, მაგრამ ამავე დროს ძალინ ბევრს ნიშნავს. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს უნდა, რომ თქვენ გახდეთ სრული მოქალაქეები“.*[81] ეს განცხადება აჩვენებს, რომ სამოქალაქო ნაციონალიზმის ოფიციალურ იდეოლოგიად არჩევის და მასთან ასოცირებული წარმატებული რეფორმების მიუხედავად, ერის სამოქალაქო მოდელის ფორმირების გზაზე კვლავაც მნიშვნელოვან ბარიერებს ვხვდებით. მოქალაქეობის გაგება ცენტრის იდენტობის პოლიტიკაში რამდენიმე ვიწრო საკითხით შემოიფარგლება და არ მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიცაა ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოება, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებში მონაწილეობა. რედუქციონისტული ხედვის გამო, პოლიტიკური ელიტა ვერ ხედავს ეთნიკური ჯგუფების საჭიროებებს, არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ყოველდღიური ცხოვრების დონეზე, ისინი იდენტობის სულ სხვა ნარატივს ქმნიან. ამ ნარატივის ეროვნულ პროექტში ინტეგრირება მნიშვნელოვანი და აუცილებელია. სხვა შემთხვევაში, იდენტობის

---

[79]თარზიანი, ტიგრან. „"1+4" ერთ-ერთი წარმატებული სახელმწიფო პროგრამაა“. *სოციალური სამართლიანობის ცენტრი*, 14 თებერვალი, 2022. https://socialjustice.org.ge/ka/products/1-4-ert-erti-tsarmatebuli-sakhelmtsifo-programaa (ნანახია 03.01.2023).

[80]ინტერვიუ სამველ პეტროსიანთან, ჩაიწერეს ქეთევან ეფაძემ და დავით ჭიკაძემ, სამაგისტრო კვლევისთვის, ჯავახეთში, 2015 წლის მაისში.

[81]იველაშვილი, მაია. „სალომე ზურაბიშვილი სამცხე-ჯავახეთში: ძირითადი აქცენტები“. „რადიო თავისუფლება“, აპრილი 14, 2019, shorturl.at/fIOT9 (ნანახია, 30.01.2023).

პოლიტიკის ვექტორი მხოლოდ ზემოდან ქვემოთ იქნება მიმართული და მოქალაქეობის იდეა უმცირესობების პრაქტიკულ ცხოვრებაში ფორმალური და უმიზნო დარჩება.

ახალგაზრდები იდენტობაზე მოლაპარაკების პროცესში

ჯავახეთის სომეხ ახალგაზრდებთან სტრუქტურირებული ინტერვიუები 6 -18 იანვრის პერიოდში ჩავწერეთ. მათი ასაკი 18-30 წელს შორის მერყეობს. 4 რესპონდენტი ნინოწმინდიდანაა, ხოლო 4 რესპოდენტი - ახალქალაქიდან. ჩვენ გვაინტერესებდა, როგორ აღიქვამენ სომეხი ახალგაზრდები ცენტრის მიერ შეთავაზებული იდენტობის კონცეფციას ყოველდღიური ცხოვრების გადმოსახედიდან და რამდენად შეესაბამება ეს იდეები მათ წარმოსახვაში არსებულ მოქალაქეობას. ცენტრის იდეებად შეირჩა ორი საკითხი: 1) სახელმწიფო ენის ცოდნა. ამ საკითხის აქტუალობას საგანმანათლებლო პროგრამები და პოლიტიკოსთა აქცენტები გამოხატავს. 2) ლოიალობა მმართველი გუნდის პოლიტიკური ინტერესებისადმი, რაშიც მოიაზრება მორჩილება მმართველი გუნდის მიმართ. ეს საკითხი ცენტრის პერსპექტივაში უსაფრთხოების დილემასთან და კლანურ წესრიგთანაა შეჭიდული, ამასთანავე, დომინანტური ნარატივის ნაწილია.

ინტერვიუებმა გვაჩვენა, რომ მოქალაქეობის გაგება ჩვენი რესპონდენტების წარმოსახვაში ცენტრის მიერ შეთავაზებულ იდეებზე უფრო ფართოა და აერთიანებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ხარისხიანი განათლების მიღება, განათლების გამოყენების და დასაქმების შესაძლებლობა, სათემო აქტივიზმი, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობა, ტოლერანტულ და თანასწორუფლებიან გარემოში ცხოვრება. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს შემოთავაზება - „ისაუბრე ქართულად“ და „ნუ იქნები სეპარატისტი“ - მოქალაქეობის იდეას აუფასურებს და ვერ ფარავს ყველა იმ საკითხს, რასაც სახელმწიფოს და სამოქალაქო ერის ნაწილად ყოფნა უნდა მოიცავდეს. თუმცა რესპონდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ ჯავახეთის რეგიონში რესურსებზე შეზღუდული წვდომის, კლანური მმართველობის და იზოლაციის გამო, ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილი ცდილობს დაიცვას მოქალაქეობის საკუთარი გაგება, ხოლო ნაწილი თანხმდება ცენტრის შემოთავაზებას - ანუ სწავლობს ქართულს და პასიურია სამოქალაქო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (მოქალაქეობასთან ასოცირებულ იდეებს შორის თანხვედრა და განსხვავება გამოსახულია ცხრილში №1).

მოქალაქეობის იდეებს შორის კომუნიკაცია	
ცენტრის იდეები	**ახალგაზრდების იდეები**
მოქალაქედ ითვლება ის, ვინც საუბრობს ქართულად	*მოქალაქედ ყოფნისთვის ქართულად საუბარი აუცილებელია, თუმცა არასაკმარისი*
მოქალაქე უნდა ემორჩილებოდეს მის რეგიონში არსებულ კლანებს, რომელიც მმართველი გუნდის ინტერესების გამტარია და კლანურ წესრიგს	მოქალაქის პრინციპები კლანურ წესრიგზე მაღლა უნდა იდგეს, ინტერესდებოდეს სათემო აქტივიზმით და ცდილობდეს ცვლილებების შეტანას რეგიონში
მოქალაქე არ უნდა იყოს ლოიალური რუსული ინტერესებისადმი, არ უნდა მოითხოვოს ჯავახეთის გამოყოფა	სეპარატიზმი თბილისში შექმნილი იმიჯია. ჯავახეთის სომხები რუსეთში უმუშევრობის გამო მიდიან. ავტონომიის შექმნის იდეა აქტუალური აღარ არის.
-	მოქალაქეს უნდა შეეძლოს თავის ქვეყანაში ხარისხიანი განათლების მიღება
-	მოქალაქეს უნდა შეეძლოს თავის ქვეყანაში დასაქმება
-	მოქალაქე უნდა ცხოვრობდეს ტოლერანტულ და თანასწორუფლებიან გარემოში
-	მოქალაქეს უნდა ჰქონდეს თავისი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება

ცხრილი №1

რესპონდენტების აზრით, ჯავახეთის ყველა მცხოვრებმა იცის, რომ სახელმწიფო ენის ცოდნას ინტეგრაციის მთავარ კომპონენტად აღიარებს. ისინი ამ კომპონენტს იდენტობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ, მაგრამ არასაკმარის ნაწილად მიიჩნევენ. თუმცა, არსებული მოთხოვნის გამო, ბოლო წლებში ენის ცოდნა და ქართულ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მსურველთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. კატია ანანიკიანი აღნიშნავდა: *„ახლა უფრო მეტი მოდის თბილისში. მანამდე ასე არ იყო. არავინ არ მოდიოდა თბილისში. ყველა ერევანში მიდიოდა. ახლა არა. ცოტა შეიძლება წავიდეს სომხეთში, ისინიც იმიტომ, რომ ქართული ენა არ იციან. ან რუსეთში. ესეც ენის გამო“.*[82] განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა ლილით კარაპეტიანს. მისი აზრით, ახალგაზრდებს შორის ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ არის. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში წამომსვლელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, ბევრი ახალგაზრდა სახელმწიფო ენის არცოდნის და დასაქმების კუთხით არსებული პრობლემების გამო, სომხურ უნივერსიტეტში იღებს განათლებას: *„ჩემი სოფლიდან ბევრი ახალგაზრდა მოდის უკვე თბილისში, 2010 წლის მერე, როცა „1+4“ პროგრამა უკვე*

[82]ინტერვიუ კატია ანანიკიანთან, ჩაიწერა ანა ტივაძემ, თბილისში, 2023 წლის 11 იანვარს.

მოქმედებდა. მაგრამ ჩემი მეზობელი სოფლიდან 80% მიდის ერევანში სასწავლებლად, იმიტომ, რომ ფიქრობენ, სჯობს თავიანთ ენაზე მიიღონ განათლება ვიდრე აქ".[83]

რესპონდენტების ხედვას ადასტურებს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია. მასში ნაჩვენებია, რომ პროგრამა „1+4"-ის ამოქმედებიდან - 2010 წლიდან 2022 წლამდე სომხურენოვან სტუდენტთა რიცხვი დინამიკაში ყოველწლიურად იზრდებოდა (მაჩვენებლები გამოსახულია ცხრილში №2).[84]

სომხურენოვანი ეთნიკურობის წარმომადგენელთა ჩარიცხვები "1+4" პროგრამაზე			
ჩარიცხვის წელი	გრანტი არ მოუპოვებია	გრანტი მოიპოვა	სულ ჩაირიცხა
2010	6	82	88
2011	72	119	191
2012	80	114	194
2013	67	89	156
2014	88	88	176
2015	76	89	165
2016	120	91	211
2017	175	93	268
2018	197	90	287
2019	244	89	333
2020	128	92	220
2021	170	91	261
2022	260	92	352
სულ ჩაირიცხა	**1683**	**1219**	**2902**

ცხრილი №2

ჩვენი რესპონდენტებისთვის ქართული ენის ცოდნა პროფესიულ განვითარებას და პირადი ცხოვრების მოწყობას უკავშირება. კარენ ოქროიანი აღნიშნავდა: *„აქ აუცილებლად უნდა იცოდე ქართული ენა დასაქმებისთვის. წინააღმდეგობა არ არის, ჩემი აზრით [ქართული ენის შესწავლასთან დაკავშირებით]. ჩემმა თანატოლებმა, ჩემზე უმცროსებმა კარგად იციან ქართული, სწავლობენ, როგორც მე ვიცი".*[85] იგივე მოსაზრება ჰქონდა ვოვა კარაპეტიანსაც: *„სახელმწიფო ენა უნდა იცოდეს საქართველოს ყველა მოქალაქემ. მეც საქართველოს მოქალაქე ვარ და ამ ქვეყანაში ცხოვრების, მუშაობის და სწავლისთვის მჭირდება ენა".*[86]

აღსანიშნავია ისიც, რომ რესპონდენტების ნაწილი კრიტიკულად აფასებს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას და მიიჩნევს, რომ მოქალაქეობა მხოლოდ

[83]ინტერვიუ ლილით კარაპეტიანთან.
[84] სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, წერილი NMES 9 23 0000077203, 25.01.2023.
[85]ინტერვიუ კარენ ოქროიანთან, ჩაიწერა ანა ტივაძემ, თბილისში, 2023 წლის 12 იანვარს.
[86]ინტერვიუ ვოვა კარაპეტიანთან, ჩაიწერა ქეთევან ეფაძემ, 2023 წლის 18 იანვარს, ონლაინ.

ვალდებულებების შესრულებას არ ნიშნავს, ეს, ამავე დროს, უფლებების ქონაცაა, მათ შორის, ხარისხიანი განათლების, განათლების გამოყენების და დასაქმების.

ხარისხიანი განათლების მიღებასთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

1)ჯავახეთის რეგიონში პროფესიული კადრების დეფიციტია. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ქართული ენის სპეციალისტების შემთხვევაში. სკოლებში ადგილობრივი კადრები არიან დასაქმებულნი, რომლებიც საფუძვლიანად არ ფლობენ ქართულ ენას. მათ ნაწილს არც შესაბამისი კვალიფიკაცია აქვს. სკოლა მასწავლებლების საკითხს ვერ ჭრის, რადგან ცენტრიდან ყოველწლიურად თითო მასწავლებელს გზავნიან სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში. ეს მასწავლებლები ვერ ფარავენ ყველა სასწავლო ჯგუფს და მოსწავლეთა ნაწილი მოკლებულია შესაძლებლობას, სახელმწიფო ენა ქართულის მცოდნე პედაგოგთან შეისწავლოს. ლილით კარაპეტიანი აღნიშნავდა: *„მერვე კლასამდე ქართულს ისე ვხურავდი 10 ქულით, რომ მარტო დედა, მამა, პაპა - ეგენი ვიცოდი. ქართულის მასწავლებელი სომეხი იყო. მარტო რამდენიმე სიტყვა იცოდა. საბჭოთა კავშირის დროს, ურთიერთობა ჰქონდა ქართველებთან, ჯარში იყო და აქედან იცოდა რამდენიმე სიტყვა და ასე გვასწავლიდა, ვითომ. [...] მერვე კლასის მერე ჩამოვიდნენ ქართული ენის მასწავლებლები და რადგან ძალიან შემიყვარდა ჩემი მასწავლებელი, ქართულიც შემაყვარა და ვისწავლე ესე“.*[87]

2)კომუნიკაციის არქონა ქართულენოვან გარემოსთან მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის სომეხი ახალგაზრდებისთვის. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსწავლეები პროფესიონალი კადრებისგან სწავლობენ ენას, მათი ენობრივი კომპეტენცია ვერ ვითარდება, ვინაიდან სკოლის მიღმა არ უწევთ სახელმწიფო ენის გამოყენება. გოჰარ აღჯოიანი აღნიშნავდა: *„ქართველებთან ურთიერთობა საერთოდ არ გვქონია. მოგეხსენებათ, ნინოწმინდაში ქართველები თითქმის არ არიან. ანუ კონტაქტი, კომუნიკაცია არ გვქონია. ხოდა ეს გოგო [თბილისელი მასწავლებელი] შემიყვარდა ძალიან. თავაზიანი, კარგი, კეთილი მასწავლებელი იყო, როგორიც მე მინდოდა და როგორიც იყო მასწავლებლის სურათი ჩემს ფიქრებში. დავიწყეთ მეცადინეობა და გვასწავლიდა ქართულ ენას, გაკვეთილების შემდეგ. ნელ-ნელა მომეწონა ქართული ენა, მერე საქართველოს ისტორიაზეც საინტერესო ფაქტებს გვეუბნეოდა და ზუსტად, აი, მე-8-მე-9 კლასიდან გამიჩნდა სურვილი საქართველოში სწავლის გაგრძელების. იმიტომ რომ უკვე საინტერესო გახდა, ასე ვთქვათ, მთლიანი საქართველო, იმიტომ რომ იქამდე კი ვიცოდი, რომ საქართველოში ვცხოვრობ, მაგრამ როგორი არის საქართველო, როგორი არიან ქართველები, მათთან ურთიერთობა როგორ უნდა გვქონდეს, არ ვიცოდი“.*[88]

3) სომეხი ახალგაზრდების დიდი ნაწილი, სწავლის საფასურის, ენის სწავლების პროგრამაში დაწესებული კვოტის და ურბანულ არეებში არსებული მაღალი გადასახადების გამო, ვერ ახერხებს უმაღლესი განათლების მიღებას. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციური მხარდაჭერა ამ პროცესში მცირეა და ვერ ფარავს ყველა ჯგუფს, ახალგაზრდების ნაწილი მაინც ცდილობს უკეთესი მომავლისთვის ბრძოლას და გამოწვევებთან შეჭიდებას. ეკატერინე კაპლანიანმა გაგვიზიარა სომეხი სტუდენტების პრობლემების შესახებ: *„აქაურები ძირითადად მიწათმოქმედებით და სოფლის მეურნეობით არიან დაკავებულნი. არ აქვთ კარგი შემოსავალი,*

---

[87]ინტერვიუ ლილით კარაპეტიანთან, ჩაიწერა ანა ტივაძემ, თბილისში, 2023 წლის 12 იანვარს.

[88]ინტერვიუ გოჰარ აღჯოიანთან, ჩაიწერა ანა ტივაძემ, თბილისში, 2023 წლის 12 იანვარს.

რომ ყველამ შეძლოს შვილის უნივერსიტეტში გაგზავნა. ჩვენს დროს ძალიან რთული იყო, რადგან შედარებით ცოტა ადამიანი მიდიოდა თბილისში. უმეტესობა მიდიოდა სომხეთში, რადგან სომხური იცოდნენ და ნათესავებიც ჰყავდათ იქ. თავიდან ორნი ვიყავით, ძალიან რთული იყო სახლის ქირაობა, ვერ ვმუშაობდით და მთლიანად მშობლებზე ვიყავით დამოკიდებული. მერე დავიწყეთ ცხოვრება ჯერ სამმა, და მერე ოთხმა ერთად. ჯავახეთიდან წამოსულები ასე შვრებიან, რომ ფინანსების მხრივ ადვილი იყოს. ძალიან რთულია მაინც. აქ თუ ოჯახი თვეში ხარჯავს 400 ლარს, თბილისში ერთ სტუდენტზე ეს 400 ლარი არაფერია. თუკი ფასიანზეა სტუდენტი, სწავლის საფასურიც უნდა გადაიხადოს, ბინის ქირაც და როგორმე უნდა იცხოვროს".[89] ეკატერინემ ძლიერი ნებისყოფის, პირადი მონდომების და მიზანდასახულობის ხარჯზე შეძლო პრობლემებთან გამკლავება და ბაკალავრის ხარისხი წარმატებით დაიცვა, ახლა კი ილიას უნივერსიტეტში განაგრძობს სწავლას სამაგისტრო პროგრამაზე. თუმცა, არიან სტუდენტები, რომლებიც ბარიერებს ვერ უმკლავდებიან და იძულებულნი ხდებიან შუა გზაზე ხელი აიღონ საკუთარ მიზანზე: *„მოსამზადებელი კურსის შემდეგ პირველი კურსიდან რომ ვაგრძელებთ სწავლას, მაინც ბევრი სირთულე გვაქვს. ზოგი პირველი ორი თვის მერე საერთოდ აღარ აგრძელებს და გრუნდება ისევ ჯავახეთში, ან სომხეთში მიდის", - გაგვიზიარა გოჰარ აღჯოიანმა.*[90]

განათლების გამოყენება და დასაქმება, ის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რასაც სომეხი ახალგაზრდები ყოველდღიურ ცხოვრებაში ეჩეხებიან და აბრკოლებს მათ წარმოსახვაში არსებული მოქალაქეობის იდეას. დასაქმების საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე პრობლემა იკვეთება:

1) ურბანულ არეებში არსებობს უნდობლობა უმცირესობის მიმართ. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულენოვან გარემოსთან სამსახურებრივი ურთიერთობისას, სომეხი ახალგაზრდები განსხვავებულ გამოცდილებას იღებენ. ამის გამო, მთლიანად ქართული საზოგადოების გაერთგვაროვნება დისკრიმინატორულ იმიჯში არ ხდება და ახალგაზრდების რეაქციები სიტუაციურად განისაზღვრება. რესპონდენტების უმეტესობამ თავი შეიკავა ამ საკითხზე მსჯელობისგან, რაც შეიძლება იმის მანიშნებელი იყოს, რომ მათ არ სურთ პოტენციური დამსაქმებლების იმიჯის შელახვა. ეკატერინე კაპლანიანმა მოკლედ აღნიშნა, რომ მისი მეგობრები აღმოჩენილან დისკრიმინაციის წინაშე,[91] გოჰარ აღჯოიანმა კი პირად გამოცდილებაზე ისაუბრა: *„მსმენია, რომ ეროვნების გამო ვერ იპოვეს სამსახური. სამსახურის პოვნის შემდეგ, ასეთი ფაქტები ჩემი მეგობრებისგან არ მსმენია. სამსახურის პოვნისას კი, იმიტომ, რომ ხანდახან ხდება, რომ ისე გვიყურებენ, თითქოს უცხოები ვართ. მქონია მეც ეგეთი შემთხვევა. თითქოსდა ვერ შევძლებთ, რაღაცას ისე ვერ გავაკეთებთ. მაგრამ ხდება ისე, რომ, როცა ვიწყებთ, ძალიანაც კარგად ვაკეთებთ. ხომ ვიცით, რომ ცოტა სხვა თვალით გვიყურებენ და ამიტომ ვცდილობთ, რომ ორმაგად, სამმაგად კარგად გავაკეთოთ საქმე".*[92] დასაქმებასთან დაკავშირებული ბარიერების საკითხს ეხმიანება სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის კვლევა, რომელშიც ნაჩვენებია, რომ

---

[89]ინტერვიუ ეკატერინე კაპლანიანთან, 2023 წლის 6 იანვარს, მესენჯერით ჩაიწერაქეთევან ეფაძემ.
[90]ინტერვიუ გოჰარ აღჯოიანთან.
[91]ინტერვიუ ეკატერინე კაპლანიანთან.
[92]ინტერვიუ გოჰარ აღჯოიანთან.

უმცირესობების წევრი ახალგაზრდები ეთნიკურ ნიშანს, ნეპოტიზმთან და სხვა ბარიერებთან ერთად, დასაქმების ხელშემშლელ ფაქტორად მიიჩნევენ.[93]

2) სამსახურის შოვნის პროცესში პროფესიული კომპეტენცია და განათლების ხარისხი უკანა პლანზე გადადის და დასაქმება კორუფციულ გარიგეგებზე გადის. კლანური და იერარქიული სტილის გამო ადგილობრივი თვითმმართველობა ჩაკეტილ სივრცედ რჩება ნიჭიერი, ამბიციური და განათლებული ახალგაზრდებისთვის. ადმინისტრაციულ პოზიციაზე მიღებისთვის ორი კრიტერიუმის დაკმაყოფილებაა საჭირო: „მაღარიჩის" გადახდა იერარქიაში მყოფი პირებისთვის და მორჩილება. ამ საკითხის შესახებ ტიგრან თარზიანი გვესაუბრა: *„ჩემი მიზანი იყო, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ უცილებლად უნდა დავბრუნებულიყავი ჯავახეთში. წარმოვიდგინე, რომ ადგილობრივი თვითმმართველოების ორგანოებში რომელიმე პოზიციაზე დავიწყებდი მუშაობას. 2018 წელს დავამთავრე უნივერსიტეტი. გაჩნდა ვაკანსია მერიაში. შევიტანე განცხადება, ვიყავი გასაუბრებაზე და ა.შ. ყველა ეტაპი ძალიან მაღალი შეფასებით გადავლახე. მაგრამ ბოლოს, ერთმა ნაცნობმა დამიძახა და მითხრა: იცი, რა კარგი ახალგაზრდა ხარ, აქტიური, მაგრამ საკადრო პოლიტიკას აქ სხვა წყვეტსო. [...] ქრთამი და „მაღარიჩი" რომ გადამეხადა, მეც ადგილობრივ თითმმართველობაში რაღაც პოზიციაზე ვიმუშაბდი, მაგრამ ეს ეწინააღმდეგება ჩემს პრინციპებს".*[94]

3) ახალგაზრდები, რომლებიც ქართული ენის შესწავლის და უმაღლესი განათლების მიღების შემდეგაც ვერ პოულობენ სტაბილურ სამსახურს, იძულებულნი ხდებიან რუსეთში დასაქმდნენ სეზონურად, რაც, ძირითადად, მძიმე ფიზიკური სამუშაოების შესრულებას ითვალისწინებს სამშენებლო კომპანიებში. ვოვა კარაპეტიანი აღნიშნავდა: *„რუსეთში წასვლა და მუშაობა განპირობებულია არასათანადო ხელფასებით და სამუშაო ადგილების სიმცირით. თუ შეიქმნება სამუშაო ადგილები, მოსახლეობა აღარ წავა".*[95] ამავე საკითხს ეხმიანებოდა კატია ანანიკიანიც*: „არაფერი იქ [ჯავახეთში] არ ხდება. არა მარტო ჩემთვის, არავისთვის. რომ მივდივარ იქ, ვფიქრობ, რომ ცხოვრება გაჩერდა. არც ტრანსპორტია, რომ წახვიდე სოფლებიდან ქალაქში. არც დასაქმების რაიმე საშუალებაა. არც ქალებს აქვთ სამუშაო, არც კაცებს. კაცები მიდიან რუსეთში, ქალები რჩებიან სახლში".*[96] ტიგრან თარზიანი მიუთითებს, რომ რუსეთი არ არის საოცნებო ადგილი ჯავახეთის სომხებისთვის: *„ამ ადამიანებმა ყველაზე კარგად იციან, რა ხდება რუსეთში. როდესაც მათთან დაიწყებ საუბარს, მიხვდები, რომ მათ აღარ უნდათ წასვლა რუსეთში. მთავრობამ სადღაც 300-500 ლარის ფარგლებში რომ დაასაქმოს და მიიღონ შემოსავალი თვის ბოლოს, არსად არ წავლენ ჯავახეთიდან და იმუშავებენ ჩვენი ქვეყნისთვის".*[97]

---

[93]გორგაძე, ნათია. ტაბატაძე, შალვა. „1+4" პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმებისა შესაძლებლობების კვლევა ზოგადი კონტექსტისა და კონკრეტული მაგალითის ანალიზის საფუძველზე", სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებაშორისი ურთიერთობების ცენტრი, 2019, 58. https://cciir.ge/images/Research-cciir-2018-14.pdf (წანახია 30.01.2023).

[94]ინტერვიუ ტიგრან თარზიანთან.
[95]ინტერვიუ ვოვა კარაპეტიანთან.
[96]ინტერვიუ კატია ანანიკიანთან.
[97]ინტერვიუ ტიგრან თარზიანთან.

სათემო აქტივიზმი, სომეხი ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი მოქალაქეობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ჯავახეთში ბევრი პრობლემაა, რომელსაც წინა პლანზე წამოწევა და გამკლავების მექანიზმების ძიება სჭირდება. მათ შორის ზოია ალვანიანმა დაასახელა: „გენდერული უთანასწორობა, ადრეული და იძულებული ქორწინება, სხვადასხვა დანაშაული [მათ შორის, კორუფციული და კლანური შეთანხმებები], ერთმანეთის მიმართ სიძულვილი და პატივისცემის ნაკლებობა".[98] ზოიას აზრით, ჯავახეთში ამ პრობლემებზე თვალის დახუჭვა საბოლოო ჯამში ქმნის სუსტ სახელმწიფოს. იგი სომეხი ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივიზმის პოტენციალს ადგილობრივ თემში დადებითად აფასებს და ფიქრობს, რომ წარსულთან შედარებით რეგიონში ცვლილებები შეინიშნება. რესპონდენტი იმაზეც მიუთითებს, რომ სამოქალაქო პრობლემებზე მუშაობას ბევრი ადგილობრივი მცხოვრები არ მიესალმება.[99] აქტივიზმთან დაკავშირებულ ბარიერებზე ისაუბრა ტიგრან თარზიანმაც: *„სამოქალაქო აქტივიზმის კუთხით ძალიან პასიურები ვართ. ბევრი მიზეზია. ცვლილებები არის, მაგრამ ეს პროექტული ცვლილებებია.[...] იყო პერიოდები, როცა ჯავახეთის სამოქალაქო სექტორი უფრო აქტიური იყო. თბილისიდან ამ აქტიურობას სულ სხვა სახელი დაერქვა, სეპარატიზმის, თუ ავტონომიის. რომ საუბრობენ, ჯავახეთს უნდა ავტონომია და სომხეთთან გაერთიანება, ავტონომია კი იყო დაწერილი, მაგრამ არა სომხეთთან გაერთიანება. დიდი შიში იყო ასიმილაციის. იმიტომ, რომ ის პერიოდი ძალიან ცუდი იყო. იმდროინდელმა აქივისტებმა აქტიურობით რაღაცეები მიიღეს. ჩვენთან ცენტრში დგას მესროპ მაშტოცის ძეგლი, ტრაფარეტები და წარწერები სამენოვანია. ადგილობრივი თვითმმართველობის ვებსაიტები სომხური ენით არის უზრუნველყოფილი. ადგილობრივ დონეზე დასაქმებულების 90%-ზე მეტი სომხები არიან. მით უმეტეს, დიდ პოლიტიკურ თანამდებობებზე. ეს ძალიან კარგი შედეგია"*.[100] თუმცა ტიგრანი იმაზეც საუბრობს, რომ ყოფილი აქტივისტები სხვადასხვა პერიოდის ხელისუფლებას გაურიგდნენ და მაფიოზური კლანები შექმნეს. ამის გამო, სათემო აქტივიზმის განვითარება არც ცენტრს აწყობს და არც ადგილობრივ პოლიტიკურ ლიდერებს. პირველ მათგანს აქტივიზმის სეპარატიზმში გადაზრდის ეშინია, ხოლო მეორეს - ხელისუფლების განაწყენების და ნეპოტისტური წესრიგის ჩამოშლის.[101] სათემო აქტივიზმის განვითარების გზაზე ისაუბრა ლილით კარაპეტიანმაც. მისი აზრით, ახალგაზრდები ცვლილებების მიღწევას მაშინ შეძლებენ, თუ არასამთავრობო სექტორის გაძლიერებაზე იფიქრებენ და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას პრობლემების გადაჭრისკენ მიუთითებენ: „ახალგაზრდებსაც და სხვებსაც ნდობა არც პოლიტიკური პარტიების მიმართ აქვთ და არც არასამთავრობო ორგანიზაციების. [...] გაუმჯობესების მხრივ, ვფიქრობ, გვჭირდება არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობა და თანამშრომლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან. ადრე ძალიან ცუდად ვიყავი განწყობილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ, მაგრამ ვნახე, რომ არაფერი არ შეიცვლება და სიტუაციაც იგივე დარჩება, თუ არ ვითანამშრომლებთ".[102]

---

[98]ინტერვიუ ზოია ალვანიანთან, 2023 წლის 4 იანვარს, მესენჯერით ჩაიწერა ქეთევან ეფაძემ.
[99]იქვე.
[100]ინტერვიუ ტიგრან თარზიანთან.
[101]იქვე.
[102]ინტერვიუ ლილით კარაპეტიანთან.

კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობა ახალგაზრდებისთვის მოქალაქეობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. რესპონდენტების ცნობით, ჯავახეთში კულტურული პროცესები გაყინულია, ამასთანავე, ადგილობრივ მცხოვრებლებს არ ეძლევათ ქართული კულტურის გაცნობის და საკუთარის საქართველოს სხვა მოქალაქეებთან გაზიარების შესაძლებლობა. ეკატერინე კაპლანიანი აღნიშნავდა: *„ქართველების ჩამოსვლა აქ საჭიროა და ჩვენი მოსახლეობის ჩასვლა ქართულენოვან სოფლებში, ქალაქებში. ერთმანეთის კულტურის გაცნობა მოხდება და შეიძლება სტერეოტიპული დამოკიდებულება შესუსტდეს [...] მსგავსი რაღაცების დანერგვაა საჭირო, რომ ჯავახეთელებმა იცოდნენ, როგორ ცხოვრობენ [საქართველოს სხვა მოქალაქეები], ჩვენც რომ იზოლირებულები არ ვიყოთ“.*[103] კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობაზე საუბრობდა ტიგრან თარზიანიც. იგი მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლება ჯავახეთში სომხური კულტურის განვითარებას ვერ აღიქვამს საქართველოს კულტურული პროცესების ნაწილად და არ ხარჯავს ფინანსებს მის შენახვასა და განვითარებაზე, რაც, საბოლოო ჯამში, ხელოვნებისა და კულტურის სფეროს ჩამოშლას და სპეციალისტთა გადინებას იწვევს რეგიონიდან: *„მოაზროვნე ადამიანები ვინც არიან, - მწერლები, პოეტები მხატვრები და ა.შ. - ამ ადამიანების რეალიზაცია ხდება არა საქართველოში, არამედ სომხეთში. განძაში არის უამრავი პოეტი და ხელოვანი, მაგრამ ეს ადამიანები არიან სომხეთში, მუშაობენ სომხეთში, წარმოადგენენ სომხეთს საერთაშორისო არენებზე, იგივე ვითარებაა სპორტში, ცეკვაში, მუსიკაში“.*[104]

ჩვენს რესპონდენტებს ტოლერანტულ და თანასწორუფლებიან გარემოში ცხოვრება სურთ, რაც მათ აღქმაში მოქალაქეობის გაგებასთანაა გადაჯაჭვული. ახალგაზრდების აზრით, საქართველოში ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება უმრავლესობასა და უმცირესობას შორის სტერეოტიპების გადალახვის საკითხი, რაც ხელს უშლის მათ შორის ჰარმონიული ურთიერთობის დამყარებას. სტეროტიპების საკითხზე და ქართულ საზოგადოებაში არსებულ ამბივალენტურ დამოკიდებულებებზე საუბრობდა ეკატერინე კაპლანიანი: *„ძალიან მიყვარს ქართული საზოგადოება. აინტერესებთ სხვისი მდგომარეობა. [...] არ მახსოვს, ვინმეს ეთქვას: შენ სომეხი ხარ, აქ რას აკეთებ? მხოლოდ ფეისბუქში მინახავს ასეთი კომენტარები. ეს დიდ ზეგავლენას ახდენდა ჩემზე. როდესაც კომენტარებში ცუდად იწყებდნენ სომხების შესახებ საუბარს, კითხვა მქონდა: ის ხალხი, ვისთანაც მე თბილისში ვსწავლობდი, ვმუშაობდი და ეს ხალხი, რომელიც კომენტარებს წერს, ერთი და იგივე საზოგადოებაა?“*[105]

ლილით კარაპეტიანი ჯგუფებს შორის ორმხრივი კომუნიკაციის მნიშვნელობაზე აკეთებდა აქცენტს. *„სომხებზე რატომღაც ქართველები ცუდს ფიქრობენ. უფრო კარგი დამოკიდებულება მგონი აზერბაიჯანელების მიმართ აქვთ, ვიდრე სომხების მიმართ. მაგრამ არ ვიცი, ეს რის გამოა. ადრე შეიძლება უფრო კარგს ვფიქრობდი ყველა ქართველზე და ახლა უფრო მაღალი აზრი მაქვს იმათ მიმართ, ვინც იცის ისტორია, იცის, რომ ჩვენც საქართველოს მოქალაქეები ვართ“.*[106] სტერეოტიპების წარმოშობის და გადალახვის საკითხზე საინტერესო მოსაზრებები შემოგვთავაზა ტიგრან თარზიანმა: *„ნაციონალისტური მიდგომა სომხებში ძლიერია. ქართველებიც რადიკალური ნაციონალისტები ხართ რაღაცებში. მე-19 საუკუნის*

---

[103]ინტერვიუ ეკატერინე კაპლანიანთან.
[104]ინტერვიუ ეკატერინე კაპლანიანთან.
[105]ინტერვიუ ეკატერინე კაპლანიანთან.
[106]ინტერვიუ ლილით კარაპეტიანთან.

თბილისში მდიდარი სომხების წინააღმდეგ არმენოფობია დაიწყო. მერე, ჯავახეთის სომხებზე სეპარატისტული ნარატივები შეიქმნა. აფხაზეთის ომში ქართველების წინააღმდეგ ბაგრამიანის ბატალიონი იბრძოდა... წარსულის მუდმივი გახსენება დაგვაშორებს ერთმანეთთან. სტეროტიპები და განხეთქილებები გააფუჭებს ჩვენს შორის კომუნიკაციას".[107] ტიგრანის შეხედულებით, ცენტრის მიერ რეგიონში გამოყენებული კონტროლის პოლიტიკა ჯავახეთის სომხებთან დაკავშირებით სტერეოტიპების გამყარებას უწყობს ხელს და არა აღმოფხვრას. ამიტომ მას მართებულად მიაჩნია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების და ინტერესების დანახვა: *„იმის თქმა მინდა, რომ ინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებით, სახელმწიფო არასწორად იქცევა. ზემოდან მუშაობს და არა ქვემოდან".*[108]

რესპონდენტთა შეფასებები აჩვენებს, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში სომეხი ახალგაზრდები მოქალაქედ ყოფნას იდეების ფართო სპექტრს უკავშირებენ, რაც სცდება ცენტრის მიერ შეთავაზებულ კონცეფციას. ამის გამო, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი სამოქალაქო იდენტობა ჯერ კიდევ ფორმირების და მოლაპარაკების პროცესშია. ჩვენ მიერ გამოკითხული ახალგაზრდები ვერ გრძნობენ, რომ სახელმწიფოს ესმის მათი ხმა და ხედავს მათ საჭიროებებს. ეს აღქმები გვაჩვენებს, რომ ინტეგრაციის პოლიტიკა დოკუმენტურ ჩარჩოშია გამოკეტილი, საჭიროა მისი განთავისუფლება ფორმალობის ტყვეობიდან და პრაქტიკულ საჭიროებებზე მორგება.

დასკვნა

ამ კვლევის ფარგლებში შევამოწმეთ თანხვედრა პოლიტიკური ელიტების მიერ შეთავაზებულ იდენტობის კონცეფციასა და სომეხი ახალგაზრდების მოქალაქეობის აღქმას შორის, ასევე შევაფასეთ ჯავახეთზე არსებული დომინანტური ნარატივის პრობლემურობა. მოკლებული ვიყავით შესაძლებლობას ფართომასშტაბიანი და რეპრეზენტაციული კვლევა ჩაგვეტარებინა, რომელიც სიღრმისეული ინტერვიუების მეთოდით გამოავლენდა სამოქალაქო იდენტობის ფორმირებას ჯავახეთის სომეხ მოსახლეობაში. ამიტომ, დავაწესეთ ლიმიტი და საკვლევ ჯგუფად ავირჩიეთ ახალგაზრდები, 18-30 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან, რომელთაც საშუალო განათლება პოსტრევოლუციურ პერიოდში მიიღეს და ქართულ უნივერსიტეტებში განაგრძეს სწავლა.

კონცეპტუალურ დასაყრდენად სამოქალაქო ნაციონალიზმის ტიპოლოგია ავირჩიეთ, რომელიც ერის ფორმირებას ინკლუზიურობას, თანამონაწილეობას და ღიაობის გავლით ემხრობა. მივუთითეთ იმაზეც, რომ ერის ასეთი მოდელი იშვიათად გვხვდება თანამედროვე საზოგადოებებში და პოლიტიკური ელიტების მიერ არჩეული იდეოლოგიები ხშირად შერეული სახით წარმოგვიდგება. ეს კონცეფციები დაგვეხმარა იდენტობის საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში.

შერეული იდეოლოგიების ლინზაში ვაჩვენეთ ქართული პოლიტიკური ელიტების მიერ ერის მოდელის ფორმირება და დავადასტურეთ ჩვენ მიერ დასაწყისში გამოთქმული

---

[107]ინტერვიუ ტიგრან თარზიანთან.
[108]იქვე.

პირველი დებულება იმის შესახებ, რომ ცენტრის მიერ არჩეული მოდელი და მის საფუძველზე შექმნილი ეროვნული პროექტი თანხვედრაში არ არის ერთმანეთთან. ასევე სამართლიანი გამოდგა მასთან დაკავშირებული მეორე დებულებაც. გარდა იმისა, რომ იდენტობის დისკურსი ქართულ ჯგუფზეა მორგებული, უმცირესობების აღქმები, საჭიროებები და ინტერესები არც ეკონომიკურ და პოლიტიკურ დონეზეა გათვალისწინებული.

ნაშრომის ვაჩვენეთ სომეხთა ინტერაქცია ქართული ეროვნული პროექტის სახესხვაობებთან. ამ გზით წინ წამოვწიეთ ის ფაქტი, რომ ჯავახეთის სომხებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ ჰქონიათ ერის მშენებლობის პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა. მათ ეს შესაძლებლობა შევარდნაძის მმართველობის პერიოდიდან მიიღეს საკანონმდებლო დონეზე. „ვარდების რევოლუციის“ პერიოდიდან ინტერაქციის ასპარეზი გაფართოვდა და სომეხ ახალგაზრდებს ქართულენოვან სივრცეში სოციალიზების შესაძლებლობა განათლების რეფორმების გავლით მიეცათ. იგივე სიტუაცია შენარჩუნდა შემდგომ პერიოდებშიც. მიუხედავად სასიკეთო ცვლილებებისა, იდენტობის პოლიტიკა პოსტსაბჭოთა პერიოდის განმავლობაში რამდენიმე საკითხზეა ორიენტირებული, ესენია ენის ცოდნა და ლოიალობა მმართველი გუნდის პოლიტიკური ინტერესების მიმართ, რაც ასევე მოიაზრებს რეგიონში დამყარებული კლანური წესრიგის მიმართ მორჩილებას. ქართულმა პოლიტიკურმა ელიტებმა ვერ შეძლეს სოციალური გადმოსახედიდან დაენახათ სომეხთა მოტივები და მათთან დაკავშირებული სეპარატიზმის პრობლემური ნარატივი გადაეფასებინათ.

ცენტრის პოზიციას არ იზიარებენ ჩვენი რესპონდენტები. ინტერვიუებმა გვაჩვენა, რომ ისინი ამჟღავნებენ ძლიერ პოტენციალს სამოქალაქო და ეთნიკური იდენტობების სინთეზისთვის. თუმცა პრობლემა მოქალაქეობასთან დაკავშირებული იდეების აცდენაში იკვეთება. მოქალაქეობა ახალგაზრდების ყოველდღიურ ცხოვრებაში არ ემთხვევა ქართული ელიტების მიერ შეთავაზებულ კონცეფციას. ახალგაზრდების აღქმები უფრო ვრცელია და ახლოს დგას სამოქალაქო ნაციონალიზმის პრინციპებთან - ინკლუზიურობასთან, თანამონაწილეობასა და ღიაობასთან. მათი იდეების გათვალისწინება ინტეგრაციის პოლიტიკას გამოიყვანს ფორმალური ჩარჩოდან და ერის მშენებლობის პროცესს ინკლუზიურს გახდის. გარდა ამისა, იგი ჯავახეთზე არსებული დომინანტური ნარატივის გადახედვისა და სეპარატიზმთან დაკავშირებული სტერეოტიპების გადალახვის შესაძლებლობადაც გვევლინება. მათი არსებობა ანაქრონულ ხასიათს ატარებს და აბრკოლებს საქართველოს მოქალაქეებს შორის ჯანსაღი აღქმების, დამოკიდებულებების, და ბოლოს, ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

წინამდებარე სტატია შექმნა ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის (IWPR) პროექტის ფარგლებში, გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები, მიგნებები და დასკვნები წარმოადგენს ავტორის პოზიციას და შესაძლოა არ გამოხატავდეს IWPR-ისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობის შეხედულებებს.

UK Government

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

INSTITUTE FOR WAR & PEACE REPORTING

IWPR